პროფესიულიგანათლება

N 3, 21

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UNDP

ეს ფეისბუქზე იყო
მაგარი
ჩანაწერები

შინაარსი

2 **ნინო ელბაქიძე**
პროფესიული განათლების პრესტიჟი

3 **პროფესიული უნარების სააგენტო**
შორენა ტყეშელაშვილი
პროფესიული უნარების სააგენტო
– როგორ ითანამშრომლებს ბიზნესი და სახელმწიფო ერთ პლატფორმაზე საუბრობს საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის (BAG) აღმასრულებელი დირექტორი და პროფესიული უნარების სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ლევან ვეფხვაძე

6 **წარმატებული სკოლის ისტორია**
ირმა კახურაშვილი
სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

12 **პროფესიული განათლების სტრატეგია**
ანი ქიტიაშვილი
პროფესიული განათლების განვითარების ძველი და ახალი სტრატეგია

15 **პროფესიული კოლეჯი**
შორენა ტყეშელაშვილი, ირმა კახურაშვილი
გლდანის პროფესიული სწავლების ცენტრი – კოლეჯი თანამედროვე პროგრამებითა და UFO-ს იერსახით.
ნოდარ ხარაზიშვილი, დირექტორი, მარი წიკლაური, სასწავლო პროცესების მენეჯერი

21 **ინკლუზიური განათლება**
შორენა ტყეშელაშვილი
ინკლუზიური პროფესიული განათლება – შანსი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის
მარიკა ზაქარეიშვილი
ინკლუზიურ განათლებასა და სსსმ და შშმ სტუდენტების ჩართულობაზე პროფესიულ განათლებაში

25 **პროფესია**
ირმა კახურაშვილი
წარმატებული მასწავლებლის ისტორია – 30 წელი პროფესიაში
გრიგოლ ფრანგიშვილის წარმატების ისტორია პროფესიულ განათლებაში.

27 **წარმატებული პროფესიული მასწავლებლის ისტორია**
ირმა კახურაშვილი
წარმატებული პროფესიული მასწავლებლის ისტორია – მადონა წერედიანი ლატალიდან –
ორი პროფესიით სოფლის და თემის ცვლილებებისთვის.

29 **პროფესიული მასწავლებლის განათლება**
ქეთევან ოსიაშვილი
პროფესიული მასწავლებლის გვერდი – პროფესიული სტუდენტების მრავალფეროვნება და მიდგომები პროფესიულ განათლებაში.

32 **ისტორიები კოლეჯიდან**
თაბუკა ციმინტია
მესტიის კოლეჯი „თეთნულდი“ – დიდი შესაძლებლობის ჰაბი ახალგაზრდებისათვის, სტუდენტური ცხოვრება და გამოწვევები

პროფესიულიგანათლება
N3 21

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხემძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

ყდაზე – თეონა გუჯეჯიანის ფოტო

ნინო ელბაქიძე

ნინო ელბაქიძე.
ფოტო ??????????

პროფესიული განათლების პრესტიჟი

პროფესიულმა განათლებამ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო და დღემდე უწევს ამ მემკვიდრეობის გავლენებისგან გათავისუფლება და განვითარება.

საბჭოთა პერიოდში პროფესიული განათლება განათლების მიღების ალტენატიულ ფორმად იყო მიჩნეული. როდესაც მაშინდელმა სახელმწიფომ მოინდომა პროფესიული განათლების პრესტიჟის ნიველირება იმ თვალსაზრისით, რომ ის ყოფილიყო ერთგვარი გზა უმაღლესი განათლებისკენ, ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. პროფესიულ განათლებას საშუალო სკოლიდან ის კონტინგენტი ირჩევდა, რომელიც შედარებით იოლი გზით ცდილობდა უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრას და არა რომელიმე პროფესიის შესწავლას და ამ პროფესიით დასაქმებას.

საბჭოთა კავშირის დაშლას პროფესიული განათლების სისტემის დაშლა მოჰყვა შედეგად. პროფესიულმა სასწავლებლებმა ფაქტიურად ვეღარ გააგრძელეს არსებობა ძველებურ რეჟიმში. მათ მიერ არც ხარისხიანი განათლება იყო უზრუნველყოფილი, არც დასაქმების შესაძლებლობა და არც დამსაქმებელთან კოლაბორაცია. უამრავმა კერძოდ გახსნილმა უმაღლესმა სასწავლებელმა ჩაყლაპა და ფაქტობრივად გაანადგურა პროფესიული განათლების პრესტიჟი. ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და პროფესიულმა განათლების სისტემამ განახლება მხოლოდ 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ეტაპობრივად.

ევროპის ქვეყნების განვითარებული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო წარმატებული და განვითარებული პროფესიული განათლების სისტემაა. მაგალითად, გერმანული, შვეიცარიული და ავსტრიული დუალური განათლების სისტემა ბევრი ქვეყნის ინტერესის სფერო გახდა. ასევე ბევრმა ქვეყანამ სცადა, რომ ესწავლა ამ საუკეთესო გამოცდილებისგან, რასაც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ჰქვია. საქართველოში პროფესიული განათლების ეს ფორმა ახლა იდგამს ფეხს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების – გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის დახმარებით.

მაგრამ მაინც რა ქმნის პროფესიული განათლების პრესტიჟს?

როდის სჯერა მოქალაქეს, რომ პროფესიული განათლება არის განათლების მიღების სასურველი ფორმა და შანსი წარმატებული დასაქმებისთვის?

როდის გამოუცხადებს მოქალაქე ნდობას პროფესიულ განათლებას?

პროფესიული განათლების პრესტიჟს ქმნიან კურსდამთავრებულები. ყოველი სტუდენტი, რომელიც წარმატებით დასაქმდა, რომელმაც წარმატებით განავითარა საკუთარი ბიზნესი და შეძლო, რომ იცხოვროს კეთილდღეობაში, არის პროფესიული განათლების პრესტიჟის მაჩვენებელი.

რა აქცევს პროფესიულ სტუდენტს წარმატებულად? რა გააკეთა მან ამ წარმატებისთვის?

ყოველი ადამიანის წარმატება და წარუმატებლობა თავად მის ხელშია. ვერცერთი ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურა და ევროპული სტანდარტები ვერ განსაზღვრავს ადამიანის პროფესიონალიზმს, თუ თავად მას არ უნდა, რომ წარმატებული იყოს.

როდესაც თქვენ გადაწყვეტთ, პროფესიული განათლება მიიღოთ, რამდენიმე აუცილებელი ნაბიჯი უნდა გაიაროთ:

ნაბიჯი პირველი – გადაამოწმეთ თქვენი არჩევანი. ნამდვილად მოგწონთ ეს პროფესია? თქვენი პასუხი ძალიან თავდაჯერებული უნდა იყოს. თქვენ უნდა გიყვარდეთ ის, რის გაკეთებასაც გეგმავთ.

შემდეგი ნაბიჯი არის ინფორმაცია პროფესიის შესახებ – რამდენ ხანს გრძელდება სწავლა? დასაქმების შანსები როგორია? ანაზღაურება რა ამპლიტუდაში მერყეობს?

მესამე ნაბიჯი – პროფესიულ სასწავლებელში ვიზიტი და გასაუბრება მასწავლებელთან და სასწავლებლის ადმინისტრაციასთან მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ამის შემდგომ არის რეგისტრაცია, შესარჩევი კონკურსის გავლა და სწავლის დაწყება.

შემდეგ მოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – სწავლა და შრომა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის. პროფესიონალ კადრებზე მოთხოვნა მუდამ იქნება შრომის ბაზარზე.

პროფესიული განათლების პრესტიჟი თქვენს ხელშია. თქვენი წარმატებაც თქვენს ხელშია. ამიტომ, სასურველია, ავირჩიოთ პროფესია, რომელიც სიხარულს, სიამოვნებასა და კეთილდღეობას მოგვიტანს.

პროფესიული უნარების სააგენტო – როგორ ითანამშრომლებს ბიზნესი და სახელმწიფო ერთ პლატფორმაზე

ინტერვიუ ლევან ვეფხვაძესთან

შორენა ტყეშელაშვილი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სავაჭრო-სამრეწველო პალატამ პროფესიული უნარების სააგენტო დააფუძნეს, რომლის მიზანია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დანერგვა, შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინება და ისეთი კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებს ნაბიჯს აუწყობს. როგორი კვალიფიკაციის კადრები სჭირდება დამსაქმებელს, რა კომპეტენციებია მნიშვნელოვანი დღეისათვის – განათლების სამინისტროსთან ერთად, ახლა უკვე კერძო სექტორიც განსაზღვრავს. როგორ ითანამშრომლებს საჯარო და კერძო სექტორი საერთო მიზნისთვის ერთ პლატფორმაზე და რას შეცვლის სააგენტოს მუშაობა კვალიფიკაციის მაძიებელი ადამიანისთვის – ამ და სხვა თემებზე „პროფესიულ განათლებასთან“ საუბრობს საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის (BAG) აღმასრულებელი დირექტორი და პროფესიული უნარების სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ლევან ვეფხვაძე.

როგორ ხედავთ პროფესიული უნარების სააგენტოს მნიშვნელობას, ერთი მხრივ, პროფესიული განათლების, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის?

პროფესიული უნარების სააგენტოს დაფუძნება ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტო მოვლენაა. ამ საგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირია, დაფუძნებაში მონაწილეობდა ბიზნესი, კერძოდ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ის ფაქტი, რომ სამინისტრო და სავაჭრო პალატა ერთად აფუძნებენ ასეთ ახალ ინსტიტუციას, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ღიაა ბიზნესთან თანამშრომლობისთვის. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა ნამდვილად საჭიროა – როცა ბიზნესი აქტიურად არის ჩართული მსგავსი ინსტიტუციის ფორმირებაში, მიზნებისა და სამუშაო გეგმის ჩამოყალიბებაში, მისი ძირითადი პრიორიტეტები დაეხმარება სააგენტოს ფუნქციონირებასა და განვითარებაში.

რა მოლოდინი გაქვთ ახლა, როცა ბიზნესი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას მუშაობაში და პრიორიტეტებსაც შესთავაზებს პროფესიული უნარების სააგენტოს?

სამწუხაროდ, აქამდე გვქონდა ძალიან ცოტა გამონაკლისი ბიზნესისა და სახელმწიფოს მუშაობისა და ეს საქმიანობაც იყო მიკროდონეზე. ეს მიკროდონე შეეხებოდა კონკრეტულ კოლეჯთან დაკავშირებით კერძო სექტორის ჩართულობას. ვფიქრობ, ახლა დონე გაცილებით მაღალია და ბიზნესი და სახელმწიფო ახალ ფორმატში იწყებენ თანამშრომლობას პრიორიტეტების განსასაზღვრად, რომ შემდეგ უკვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს მომზადება. შესაძლოა, ადამიანი ძალიან კვალიფიციური იყოს, მაგრამ მისი კვალიფიკაცია აცდენილი იყოს იმ მოთხოვნებს, რაც შრომის ბაზარზეა; ან კვალიფიკაცია ჩამორჩა დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესი ვითარდება და ახალ მოთხოვნებს აყენებს შრომის ბაზარზე, შემოაქვს ახალი ტექნოლოგიები და სჭირდება კვალიფიციური კადრები. როდესაც ვსაუბრობთ FDI-ზე, რომელიც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ჩვენ ეს ინვესტიციები არა მარტო იმიტომ გვჭირდება, რომ კაპიტალი შემო-

ლევან ვეფხვაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ვიდეს ქვეყანაში, არამედ ასევე გვჭირდება ტექნოლოგიების შემოტანაც. მაგრამ თუ ადგილზე ვერ დავახვედრებთ მათ ისეთი კვალიფიკაციის ადამიანებს, რომლებიც ამ ტექნოლოგიას აითვისებენ და დაიწყებენ ამ ტექნოლოგიაზე დაფუძნებით პროდუქციის გამოშვებას, შესაბამისად, ეს ინვესტიცია ვერ განხორციელდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, თავიდანვე განვსაზღვროთ, როგორი კვალიფიკაციის კადრები გვჭირდება, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის და ინვესტიციების წახალისებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

რატომ შეიძლება იყოს ბიზნეს-ასოციაციისთვის პრიორიტეტი სააგენტოს მუშაობაში მონაწილეობა?

იმისთვის, რომ გაგვეგო, რა აინტერესებდათ ჩვენი ასოციაციის წევრებს, ყოველთვის ვეკითხებოდით: რა არის პრობლემა ბიზნესის განვითარებისთვის? ჩვენს წევრ კომპანიებს უმთავრეს პრობლემად მიაჩნიათ სამუშაო ადგილებზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ჩართულობა პროფესიული სააგენტოს მუშაობაში მნიშვნელოვანია, რათა შევასრულოთ გარკვეული გამტარის ფუნქცია ჩვენს წევრებსა და პროფესიული უნარების სააგენტოს შორის. როდესაც სააგენტო რაიმე დოკუმენტს მოამზადებს, ვკითხავთ ჩვენს წევრებს, არის თუ არა ეს პრიორიტეტი მათთვის და თუ იქნება მათი მხრიდან მხარდაჭერა? ბუნებრივია, ჩვენც მხარს დავუჭერთ ამ პრიორიტეტებს. ეს არის ის პრინციპი, რაზეც ვმუშაობთ და როგორც უნდა იმუშაოს ბიზნეს-ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭომ.

ვინ არიან პროფესიული სააგენტოს ბორდის წევრები, ვინ შედის სამეთვალყურეო საბჭოში და რა ფუნქციები აქვთ?

პროფესიული სააგენტოს მუშაობაში მონაწილეობენ სახელმწიფო ინსტიტუციები, სამინისტროს წარმომადგენლები და მეორე მხრივ, კერძო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის

წარმომადგენლები. პროფესიული უნარების სააგენტო სწორედ ის პლატფორმაა, სადაც ბიზნესმა და სახელმწიფომ უნდა ილაპარაკოს. სააგენტოს მუშაობაში ჩართული არიან მინისტრის ის მოადგილეები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ, სამინისტროებში გარკვეულ დინამიკას ადევნონ თვალყური და მეორე მხრივ, წევრები არიან ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა ზომის ბიზნესკომპანიებს.

რას ნიშნავს უნარების სააგენტოს დაფუძნება რიგითი მოქალაქისთვის, რომელიც კვალიფიკაციის მაძიებელია? სად და რაში იგრძნობს მოქალაქე სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას ამ სააგენტოს მეშვეობით?

უნარების სააგენტოს ფოკუსში არის მოქალაქე, რომელსაც არ აქვს კვალიფიკაცია და სურს დასაქმდეს. უნარების სააგენტო სამუშაოს მაძიებელი ადამიანებისთვის არის ის ინსტიტუცია, რომელმაც უნდა განსაზღვროს, რა კვალიფიკაცია იქნება მისთვის, მაძიებლისთვის საჭირო, რათა უზრუნველყოს დასაქმება და მისი ოჯახისთვის დამატებითი შემოსავალი. დღეს ჩვენს ქვეყანაში გვაქვს ძალიან ბევრი კოლეჯი და კოლეჯებში შესაძლოა ისეთი სპეციალობების მომზადება ხდება, რომლებზეც ადამიანები ვეღარ საქმდებიან. ეს ნამდვილად არის პრობლემა და ეს გაუგებრობა რომ აღარ გვქონდეს, უმჯობესია, ისე დავხარჯოთ ფული და ისე აღვზარდოთ ადამიანი პროფესიულად, რომ მან მოწყვეტილად კი არ მიიღოს კვალიფიკაცია, არამედ ეს იყოს კომუნიკაცია სამუშაო ადგილთან, სადაც შესაძლებელია დასაქმდეს. როდესაც კოლეჯი მოამზადებს 10 ადამიანს, შესაძლოა ათივემ ვერ იპოვოს დასაქმების ადგილი და მხოლოდ საუკეთესოებმა იპოვონ, მაგრამ ახლა გვაქვს სიტუაცია პირიქით – გვაქვს სამუშაო ადგილები და არ გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ სამუშაო ადგილებზე მივლენ და დასაქმდებიან. ასეთ დროს მთავარია, მოხდეს სწორი თანხვედრა იმ კომპეტენციებისა, რომლებსაც ვაძლევთ ადამიანებს და იმ მოთხოვნებისა, რომლებიც არის სამუშაო ბაზარზე. ბიზნესის ჩართულობა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ძალიან ბევრი ადგილი უნდა გავაჩინოთ და ადამიანმა თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად შეძლოს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე მისი უნარების მეტად სრულყოფა და განვითარება.

რა არის უახლოესი სამოქმედო გეგმა და განსახოციელებელი აქტივობები?

უახლოესი სამოქმედო გეგმაა, დაიდოს სწორი ხედვა განათლების ამ სეგმენტში. სწორი ხედვა დაფუძნებული იქნება ბიზნესთან აქტიურ კომუნიკაციაზე. დოკუმენტი მომზადდება და ნებისმიერი მიმართულებით იქნება წარდგენილი – ჩვენი მხრიდან ჩვენს წევრებთან. შედეგად ჩამოყალიბდება ერთი დიდი სტრატეგიული დოკუმენტი. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დონორების ჩართულობა, რადგან ასეთი კვალიფიციური დოკუმენტის მომზადება იაფი არასდროს არის. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ დოკუმენტი არაფერს არ ნიშნავს, თუ მისი იმპლემენტაცია არ დავიწყეთ, რასაც დრო დასჭირდება.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

ირმა კახურაძვილი

აქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მთის კურორტების განვითარების სააგენტოსთან ერთად „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“ დამფუძნებელია, სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი (IFMGA) გახდა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სამთო გამყოლის სადიპლომო პროგრამამ. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დიპლომირებულმა 30-მა სამთო გამყოლმა კი საერთაშორისო სამთო გამყოლის სტატუსი მიიღო.

ღონისძიება საფრანგეთში, ალპინიზმის სამშობლო სამთო-კურორტ შამონიში გაიმართა და მასში მონაწილეობა სხვადასხვა თაობის ქართველ გამყოლებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამარ ქიტიაშვილმა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის დირექტორმა ირაკლი ჭირაქაძემ მიიღეს. ღონისძიების ფარგლებში ასევე გაფორმდა საერთაშორისო თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მემორანდუმიც.

„სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ საჯარო და კერძო პარტნიორობის საუკეთესო მაგალითია. სწორედ ამ თანამშრომლობამ განაპირობა კოლეჯის მიერ დარგის საჭიროებებზე მორგებული, თანამედროვე სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აღიარება.

საერთაშორისო ფედერაციის წევრობა ნიშნავს, რომ საქართველოს სამთო-საგამყოლო პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტები აკმაყოფილებს საერთაშორისო კრიტერიუმებს და საქართველოს ენიჭება ხმის უფლება მსოფლიოში სამთო-საგამყოლო საქმიანობის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. ეს ეხება როგორც პროფესიული საქმიანობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს, ასევე განათლებას, მობილობას ქვეყნებს შორის და ა. შ.

მიღწეული წარმატება შესაძლებლობას აჩენს სათავგადასავლო ტურიზმის კოლეჯმა სამთო გამყოლის საერთაშორისო სადიპლომო პროგრამაზე სტუდენტები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან მიიღოს, საქართველოში დიპლომირებული სამთო გამყოლები კი შეძლებენ საგამყოლო საქმიანობა IFMGA-ს წევრ 25 ქვეყანაში აწარმოონ. სამომავლოდ კოლეჯი საფრანგეთის ალპინიზმისა და თხი-

ლამურების ეროვნულ სკოლასთან (ENSA) თანამშრომლობით ახალი სათავგადასავლო პროფესიების განვითარებას დაიწყებს.

სამთო გამყოლთა ასოციაციამ მეორე საერთაშორისო ორგანიზაციაში – მთის ლიდერთა საერთაშორისო კავშირში (UIMLA) გაწევრიანების პროცესიც დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა საფეხმავლო გამყოლის კურსის საერთაშორისო სტანდარტს დანერგავს საქართველოში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის მიერ ერთობლივად იქნა დაფუძნებული სათავგადასავლო ტურიზმის საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯი – სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა ამზადებს კადრებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შექმნილი პროგრამებით.

სკოლის დაარსებას წინ უძღოდა საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის მრავალწლიანი მიზანმიმართული მოღვაწეობა სამთო ტურიზმის განვითარებისათვის.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მისიაა, განვითარებაზე ორიენტირებული, შესაბამისი დარგის დამსაქმებლების ჩართულობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით და პროფესიული სტუდენტების ინტერესების პრიორიტეტულობის აღიარებით, უზრუნველყოს კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება, რომლებსაც ეყვარებათ, გაუფრთხილდებიან და დაიცავენ ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს;

მათი მომზადება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამთო გამყოლების საერთაშორისო აღიარებას და ასოციაციის გაწევრიანებას საერთაშორისო ფედერაციაში (IFMGA/UIAGM/IVBV), რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

სკოლა მუშაობს იმაზე, რომ 2022-24 წლისთვის გახდეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი დაწესებულება, რომელიც მოამზადებს დარგის ისეთ პროფესიონალებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც მისცემს მათ წარმატებით დასაქმების საშუალებას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

პროგრამების ჩამონათვალი ამ დროისათვის ასეთია:

სადიპლომო პროგრამა – სამთო გამყოლი

სამთო გამყოლი არის სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერი, რომელიც კომპეტენტურია, გაუძღვეს ტურისტს/ტურისტთა ჯგუფს ნებისმიერი სახის, ნებისმიერი სირთულის მთის რელიეფზე ნებისმიერ სეზონზე.

საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში და მასთან დაკავშირებული მაღალი რისკის აქტივობებში ჩართული კადრების (საფეხმავლო, ალპური, სათხილამურო და სამთო გამყოლების, სამთო სპორტის და სათავგადასავლო აქტივობების ინსტრუქტორების და ა.შ.) პროფესიულ მომზადებას, ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც გაზრდის საქართველოში მათი და მათი მომსახურე-

ბის ობიექტების უსაფრთხოებას; უზრუნველყოფს სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულების კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

პროფესიული გადამზადების პროგრამა – სათხილამურო გამყოლი

გადამზადების პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს იმ უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რომლებიც საჭიროა კვალიფიციური გამყოლების გადამზადებისთვის.

შინაარსითაც და განხორციელების მიდგომებითაც მრავალფეროვანია – უმაღლესი დონის უსაფრთხოებისა და პასუხისმგებლობის მოთხოვნებით განმახორციელებლების მხრიდან. პროგრამის დიდი ნაწილი ხორციელდება საველე პირობებში, გათვალისწინებულია განსხვავებული/სპეციფიკური მიდგომები:

საველე მეცადინეობები ტარდება ცივილიზაციისგან შორს;

საველე მეცადინეობების დროს მსმენელები იმყოფებიან ველურ ბუნებაში, ობიექტური და სუბიექტური საფრთხეების ზეგავლენის ქვეშ; მსმენელებს ჯერ არ აქვთ დამოუკიდებლად უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპეტენცია დარგში, თუმცა აქვთ პირველადი სამედიცინო დახმარების კომპეტენცია; სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული გამყოლები, პრაქტიკული გამოცდილებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში გავლილი აქვთ ტრენინგები – ტრენერის გადამზადების პროგრამა ნაციონალური

და/ან საერთაშორისო (UIMLA) სტანდარტების შესაბამისად.

სათხილამურო გამყოლი შეიძლება იყოს სპეციალიზებული თხილამურით, სნოუბორდით და ან ტელემარკ-თხილამურით გამყოლობაში. პროფილირებული და განგძობითი წვრთნა, შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი საბუთი და პროფესიული მოქცევა განასხვავებს სათხილამურო გამყოლს სხვა ლიდერებისგან, მოყვარულებისა თუ პროფესიონალებისაგან.

სათხილამურო გამყოლი არის სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერი, რომელიც კომპეტენტურია, გაუძღვეს თხილამურით და/ან სნოუბორდით ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის ფრირაიდის (გაუკვალავ თოვლში ასვლა და დაშვება თხილამურებით და/ან სნოუბორდით) მარშრუტზე ზამთარში და ჰელი-სკის ტურებს.

იგი ახორციელებს ტურებს იმ რელიეფზე და ტექნიკური სირთულის მარშრუტებზე, რომლებიც არ საჭიროებს ალპინისტური უნარ-ჩვევების, ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენებას. სათხილამურო გამყოლი გადაადგილდება თოვლიან რელიეფზე სპეციალური სათხილამურო აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოყენებით. სათხილამურო გამყოლისთვის დაშვებულია ფეხით გადაადგილება მოკლე, მარტივ ტექნიკურ მონაკვეთებზე, რომლებიც ნაწილია ფრირაიდ ტურის. მას არა აქვს უფლება, იმოძრაოს მყინვარზე.

თეორიული სწავლება შესაძლებელია ონლაინგარემოშიც, სპეციალური ვიდეოპროექტორის საშუალებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამა მიზნად ისახავს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში და მასთან დაკავშირებული მაღალი რისკის აქტივობებში ჩართული კადრების – სათხილამურო გამყოლის პროფესიულ გადამზადებას, პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და კონკრეტული მიმართულებით კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

პროფესიული გადამზადების პროგრამა – საფეხმავლო გამყოლი

საფეხმავლო გამყოლის პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში არსებული კადრების გადამზადებას დროის მოკლე მონაკვეთში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს იმ უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რომლებიც საჭიროა კვალიფიციური გამყოლების გადამზადებისთვის;

შინაარსითაც და განხორციელების მიდგომებითაც მრავალფეროვანია და მრავალმხრივი, უმაღლესი დონის უსაფრთხოებისა და პასუხისმგებლობის მოთხოვნებით განმახორციელებლების მხრიდან.

პროგრამის დიდი ნაწილი ხორციელდება საველე პირობებში, ამიტომ გათვალისწინებულია განსხვავებული/სპეციფიკური მიდგომები:

საველე მეცადინეობები ტარდება ცივილიზაციისგან შორს;

საველე მეცადინეობების დროს მსმენელები იმყოფებიან ველურ ბუნებაში, ობიექტური და სუბიექტური საფრთხეების ზეგავლენის ქვეშ;

მსმენელებს ჯერ არ აქვთ დამოუკიდებლად უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპეტენცია;

პროგრამის განსახორციელებლად სკოლას/კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული საფეხმავლო, ალპური და/ან სამთო გამყოლები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, ბოლო 5 წლის განმავლობაში გავლილი აქვთ ტრენინგები საფეხმავლო გამყოლი-ტრენერის გადამზადების პროგრამაში ნაციონალური და/ან საერთაშორისო (UIMLA) სტანდარტების შესაბამისად.

საფეხმავლო გამყოლის დასაქმების შესაძლებლობებია: საფეხმავლო ტურის მეგზური, საფეხმავლო ტურისტების გიდი.

პროფესიული გადამზადების პროგრამა მიზნად ისახავს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში და მასთან დაკავშირებული მაღალი რისკის აქტივობებში ჩართული კადრების – საფეხმავლო გამყოლის პროფესიულ მომზადებას, პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და კონკრეტული მიმართულებით კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

საფეხმავლო გამყოლი არის სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერი, რომელიც კომპეტენტურია, გაუძღვეს ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის საფეხმავლო მარშრუტებზე. მისი საქმიანობა ნებადართულია ისეთ რელიეფზე, სადაც შესაძლებელია ფეხით გადაადგილება ალპინისტური და სათხილამურო აღჭურვილობის გარეშე; ასევე, მთიან რელიეფზე, გაკვალულ, გაუკვალავ, მონიშნულ ბილიკებზე და თოვლიან ზედაპირზე, იქ, სადაც გამორიცხულია ზვავსაშიშროება.

სკოლას დამსაქმებლებთან თანამშრომლობის წარმატებული ისტორია აქვს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ კარიერას საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიაში. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა დაარსების დღიდან წარმატებით თანამშრომლობს მთის კუროტების განვითარების კომპანიასთან, რაც გამოიხატება სხვადასხვა პროექტში მონაწილეობით, სამთო სათხილამურო კურორტების თანამშრომელთა გადამზადებით და ა.შ. მთის კურორტების განვითარების კომპანიამ ააშენა და გადასცა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას საწვრთნელი ცენტრი კურორტ გუდაურში.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ შექმნა წარმომადგენლობით პარტნიორთა კონსორიციუმი, რომელშიც შევიდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი კოლეჯი „თეთნულდი“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, საქართველოს მიმღები ტუროპერატორების ასოციაცია, შვეიცარიის სამთო გამყოლთა ასოციაცია, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს უკვე თავიანთი წარმატების ისტორია აქვთ. დავით რაქვიაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, ნიკა ერქომაიშვილი, ივანე ვაშაყმაძე, არჩილ ცინცაძე და გია აფაქიძე – სერტიფიცირებული სამთო გამყოლების პირველი და მეორე თაობაა, რომელთა 30-წლიანმა საქმიანობამ საქართველო გახადა სამთო გამყოლთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის (IFMGA) წევრი. არმიის სპორტული კლუბის მთამსვლელთა გუნდის ამ შემადგენლობამ 90-იანი წლებიდან დაიწყო სამთო საგამყოლო საქმიანობის განვითარება საქართველოში. მათ პირველებმა გაიარეს სამთო გამყოლის პროფესიული მომზადება შვეიცარიის, ავსტრიის, გერმანიისა და პოლონეთის სამთო-საგამყოლო სკოლებში და იქ მიღებული გამოცდილებით შექმნეს რამდენიმე სამთო-საგამყოლო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობის დაგვირგვინებაც გახდა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა.

პროფესიული განათლების განვითარების ძველი და ახალი სტრატეგია

ირმა კახურაშვილი

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ შეკითხვებს ანი ქიტიაშვილი, თსუ პროფესორი, პროფესიული განათლების ექსპერტი პასუხობს.

ქალბატონო ანი, ახლახანს გამოქვეყნდა პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია დისკუსიისათვის. საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ ამ სტრატეგიას და სურვილის შემთხვევაში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. გთხოვთ, გვითხრათ, რა არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ახალ სტრატეგიაშია მოცემული? განვითარების რა გზა აქვს აღებული სახელმწიფოს პროფესიული განათლების თვალსაზრისით?

ახალი სტრატეგიის მიზანია ყველა ადამიანისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

სტრატეგიის ცენტრში პროფესიული სტუდენტია, მისთვის საჭირო მრავალფეროვანი სერვისების უზრუნველყოფა და მისი აღჭურვა ფართო სპექტრის უნარებით, რაც საჭიროა არა მხოლოდ დასაქმებისთვის/თვითდასაქმებისთვის, სამეწარმეო და ინოვაციური აზროვნების გასავითარებლად, არამედ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, პიროვნული და კარიერული განვითარებისა და აქტიური მოქალაქეობისთვის. ეს სტრატეგიის პირველი ამოცანაა.

სტრატეგიაში ხაზგასმულია დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და ამ პროცესში პროვაიდერების ავტონომიურობისა და შესაძლებლობების გაძლიერება ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, როგორიცაა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების, მენეჯმენტის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ა.შ . ეს სტრატეგიის მეორე ამოცანაა.

პროფესიული განათლების მესამე ამოცანა უკავშირდება პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი მმართველობის მოდელის დანერგვას პარტნიორობის საფუძველზე. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ერთობლივად დაიფუძნეს „პროფესიული უნარების სააგენტო“, რომელსაც წინ უძღოდა შესაბამისი ანალიზი. სააგენტო თავს მოუყრის სხვადასხვა სააგენტოსა და სისტემაში გადანაწილებულ მნიშვნელოვან ფუნქციებს; სააგენტო, ზოგადად, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სტრატეგიის დანერგვის პროცესში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ახალი სტრატეგია უპასუხებს საქართველოსთვის 21-ე საუკუნის გამოწვევებს, როგორიცაა ტექნოლოგებისა და შრომის ბაზრის სწრაფი ცვლილება, ახალ უნარებზე მოთხოვნა, მოსახლეობის დაბერება, გლობალიზაცია, COVID-19 პანდემია და პოსტკოვიდური განვითარება.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტები, საუკეთესო გამოცდილება.

რა ძირითად მიმართულებებს ითვალისწინებდა ძველი სტრატეგია და შესრულდა თუ არა ის, რაც დაგეგმილი იყო?

წინა სტრატეგია – პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია – 2013-2020 წლების განმავლობაში განხორციელდა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სისტემის ფორმირების პროცესში და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების ხარისხის, მიმზიდველობის გაუმჯო-

ბესებას ბევრი მიმართულებით. მათ შორისაა სოციალური პარტნიორობა, საგანმანათლებლო ქსელის გაფართოება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიცირება, მათი შესაბამისობის გაუმჯობესება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადამუშავება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დამტკიცება, პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პილოტირება, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოდელის იდენტიფიცირება, კურსდამთავრებულთა კვლევის მექანიზმების დანერგვა, პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება, სტიგმისა და უარყოფითი სტერეოტიპების შემცირება მრავალფეროვანი ღონისძიებების დახმარებით, სამიზნე ჯგუფების დადებითი დამოკიდებულების ფორმირება პროფესიული განათლების მიმართ. ეს არის ძირითადი და არასრული ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც 2012-2020 წლებში განხორციელდა პროფესიულ განათლებაში.

პროფესიული განათლების პოპულარობა დღითიდღე იზრდება, თუმცა მას მძიმე წარსული აქვს პრესტიჟულობის თვალსაზრისით. დღეს ახალგაზრდების ჩართულობა არ აღემატება 5%-ს მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 50%-მდეა. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისათვის, რომ პროფესიულ განათლებაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს?

პროფესიული განათლების პოპულარიზება და მისი იმიჯის გაუმჯობესება კომპლექსური საკითხია. მასზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორიცაა პროფესიული განათლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, არსებული სტერეოტიპები, ნაკლები ინფორმირებულობა მისი შესაძლებლობების შესახებ და ა.შ.

როგორც აღვნიშნე, ეს საკითხი პრიორიტეტული იყო წინა სტრატეგიაშიც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროფესიული განათლების მიმართ სტიგმა და უარყოფითი სტერეოტიპები მცირდება და დამოკიდებულება დადებითი მიმართულებით იცვლება, თუმცა ეს ნელი პროცესია. ზოგადად, ძა-

ლიან რთულია სტიგმის, დამოკიდებულებებისა და სტერეოტიპების შეცვლა, მას დრო და რესურსები სჭირდება.

ახალ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი მიმართულებაა ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ. სისტემაში დაგროვდა წარმატებული მაგალითები და მათ პოპულარიზაციაზე მეტი აქცენტი გაკეთდება; დაიგეგმება ინოვაციური და მრავალფეროვანი ღონისძიებები. მეტი აქცენტი გაკეთდება ასევე ცნობიერების ამაღლების პროცესში დარგობრივ განსხვავებებზე და მიდგომების მოდიფიცირება დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდება. პროფესიული განათლების პოპულარიზების გარდა აქცენტი გაკეთდება პროფესიული კვალიფიკაციების პოპულარიზებაზეც.

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მისი მოდერნიზება დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა პროფესიული განათლების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზება ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდას.

ამ პროცესში გაძლიერდება სკოლებს, უნივერსიტეტებს, კოლეჯებს, კერძო სექტორს, სექტორულ ასოციაციებს, ადგილობრივ თვითმართველობას შორის თანამშრომლობა და პარტნიორობა; პოპულარიზაციის კამპანიები გააქტიურდება განსაკუთრებით სკოლებში და არა მხოლოდ მომავალ აპლიკანტებთან, არამედ მშობლებთან/მეურვეებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან.

ზოგადად, მნიშვნელოვანია ამ პროცესში სამიზნე ჯგუფების გაფართოება და მოსახლეობის ფართო მასების გათვალისწინება.

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში რა გავლენა მოახდინა პანდემიამ პროფესიულ განათლებაზე და რა ღონისძიებებს ვახორციელებთ ამ მიმართულებით?

Covod-19 პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით კი პროფესიულ განათლებაზე. პროფესიულ განათლებაზე უარყოფითად აისახა როგორც სოციალური დისტანციის მოთხოვნები, ასევე საწარმოების დროებითი დახურვა, რამაც გაართულა პრაქტიკული და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, რაც გადამწყვეტია პროფესიული განათლებისთვის. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, დუალური განათლება საწარმოებში განსაკუთრებით დაზარალდა, რადგან ბიზნესები დაიხურა ან შემცირდა მათი ოპერაციები. პანდემიამ მნიშვნელოვანი გაურკვევლობა შექმნა დასაქმების თვალსაზრისითაც.

ამ გამოწვევის დასაძლევად ქვეყნებმა სხვადასხვა ღონისძიებას მიმართეს, როგორიცაა მაგალითად:

- ონლაინ და ვირტუალური პლატფორმების გამოყენების გაზრდა სწავლა- სწავლების პროცესში;
- ხელფასების უზრუნველყოფა შეგირდების შენარჩუნების ხელშესაწყობად; მუშაობის გაგრძელება დისტანციურ ან ვირტუალურ ფორმატში;
- სასწავლო გარემოს, სწავლება-შეფასების მიდგომების არსებითი ცვლილება;
- უნარების შეფასება და კვალიფიკაციების მინიჭების მოქნილი მექანიზმების შეთავაზება;
- სტუდენტების ინფორმირება, ჩართვა და მათთან უწყვეტი კომუნიკაცია;
- პროვაიდერებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ინვესტიცია პროფესიული განათლების სფეროში, რათა შეამსუბუქოს უნარების მომავალი დეფიციტი და მინიმუმამდე დაიყვანოს კრიზისის გავლენა.

მსგავსი ღონისძიებებით უპასუხა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემამაც. სტრატეგიაში ასახულია როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიური გამოწვევების გამკლავების ღონისძიებები; პირისპირ, ონლაინ და დისტანციური სწავლების ეფექტური კომბინირება, სასწავლო გარემოს, სასწავლო მასალებისა და სწავლების პროცესის ტრანსფორმაცია. სწავლების პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდება ციფრული უნარების განვითარებაზე, „მწვანე“ უნარების განვითარებაზე მწვანე განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად. ამისათვის მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის, დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება. უზრუნველყოფილი იქნება ბიზნეს-სექტორის მეტი ჩართულობა სწავლების პროცესში. ახალგაზრდების ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, მეტი აქცენტი გაკეთდება სოციალური ქსელების, აპლიკაციების გამოყენებაზე, ინტერნეტზე, მობილურ ტელეფონებზე და სხვადასხვა ინსტრუმენტზე.

კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – თანამედროვე ინფრასტრუქტურით შექმნილი გარემო პროფესიული სწავლებისთვის

შორენა ტყეშელაშვილი, ირმა კანურაშვილი

რა გზა გაიარა კოლეჯმა 2012 წლიდან დღემდე? რა პროგრამებს სთავაზობს პროფესიული მომზადების ცენტრი პროფესიული განათლების მიღების მსურველებს?

ნოდარ ხარაზიშვილი: კოლეჯის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული სასწავლო პროგრამები სრულად მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს. ამ პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და მასწავლებლებთან. ისინი მუდმივად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში. კოლეჯი აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. სასწავლო

სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ 2012 წელს შეიქმნა, 2013 წელს კი ავტორიზაცია გაიარა. 2013 წლიდან ცვლილებები დაიწყო პროფესიული განათლების სისტემაში, შეიცვალა ჩარიცხვის წესი, პროცესი გახდა უფრო გამჭვირვალე, სამართლიანი და პროფესიული განათლება გახდა მთლიანად უფასო. ამ ცვლილებამ გლდანში სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასაც შეუწყო ხელი, სასწავლო ხარისხიც გაუმჯობესდა და კოლეჯის სამომავლო განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოება შეიქმნა. კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მულტიფუნქციურია და თანამედროვე ტექნიკითა და სასწავლო რესურსებით არის აღჭურვილი. ჟურნალს „პროფესიული განათლება“ კოლეჯის დირექტორი ნოდარ ხარაზიშვილი და სასწავლო პროცესების მენეჯერი მარინე წიკლაური ესაუბრებიან სასწავლო პროგრამებსა და სამომავლო გეგმებზე.

ინფრასტრუქტურა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა ხარისხიანი სწავლება მიიღონ. მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესთან, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ/სსსმ-სტუდენტები წარმატებული იყვნენ.

ჩვენი კოლეჯი თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ორ ათეულზე მეტი საგნობრივი პროგრამით და 2015 წლიდან, როდესაც პირველად დაინერგა მოდულური პროგრამები, მთლიანად ჩავერთეთ ამ პროცესებში. მეტ-ნაკლები პერიოდულობით გვქონდა 9-დან 15-მდე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. გვაქვს როგორც ინჟინერიის, ხელოვნების, ბიზნეს-ადმინისტრირების, მომსახურების, ისე კომპიუტერინგის სფეროს მომსახურების სფეროს პროგრამები. ჩვენი კოლეჯის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის ავტომობილის ტექმომსახურების პროგრამები. ეს გახლავთ მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის, ძრავის, ავტომობილის ელექტრო და ელექტროსისტემების შეკეთების პროგრამები, რომლებიც წარმატებით განვახორციელეთ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით, შარშან ჩვენს პროფესიული მომზადების ცენტრში აშენდა სახელოსნო, სადაც სტუდენტები შეძლებენ თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული კომპონენტიც გაიარონ. სტუდენტებს ვუშვებთ პარტნიორ კომპანიებში, სადაც უშუალოდ გადიან პრაქტიკულ მომზადებას და იუმჯობესებენ

ნოდარ ხიზანიშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

თეორიულ ცოდნას. 2015 წლიდან კოლეჯში დავნერგეთ აზომვითი-ტოპოგრაფიული სამუშაოს შემსრულებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც საკმაოდ საინტერესო გამოდგა. საქართველოში მიწების უმეტესობა თითქმის აუზომელია და ტოპოგრაფიული რუკები არ არსებობს, ან არის საბჭოური პერიოდის, განსაკუთრებით სასოფლო მიწებზე და ეს პრობლემური საკითხია. ტოპოგრაფის პროფესია საკმაოდ მოთხოვნადია – 80%-მდე აღწევს მისი დასაქმების მაჩვენებელი შრომის ბაზარზე. მომსახურების და ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამებზე გვაქვს ბუღალტერიის პროგრამა. ყოველთვის ვცდილობდით, რაც შეიძლება მაღალი ხარისხის პროგრამები წარმოგვედგინა. გვაქვს ასევე საოფისე საქმის და საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამა და კომპიუტერინგის მიმართულებით – კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ინფორმაციის ტექნოლოგია, ვებტექნოლოგია, გრაფიკული დიზაინის შესრულება, რომელიც უნიკალური პროგრამაა და მთლიანად მორგებულია FAB-LAB-სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაზე, რომელიც ჩვენს კოლეჯში, 2016 წელს, განათლების სამინისტროს ძალისხმევით მოეწყო. ამ პროგრამის სწავლებისას ვთანამშრომლობთ ეკონომიკის სამინისტროს სამრეწველო ინოვაციების, ეკონომიკური ინოვაციების სააგენტოსთან.

2016 წელს კოლეჯში დავამატეთ სამგანზომილებიანი გამოსახულების პროგრამა და საქართველოში პირველი 3D-ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვეთ. ამას გარდა, გვაქვს პროგრამა – სამკერვალო წარმოება. საქართველოში უამრავი საშუალო და წვრილი კომპანია არსებობს, რომლებიც კერავენ და დიზაინის მიმართულებით მუშაობენ. პანდემიის დასაწყისში, როდესაც დაიწყო პირბადეების დეფიციტი, ჩვენმა სტუდენტებმა ძალიან მალე დაიწყეს სამეწარმეო საქმიანობა და პირბადეების შეკერვა. ჩვენი პროგრამები ისე არის შემუშავებული, რომ პროფესიასთან ერთად სხვა მულტიდისციპლინურ მოდულებსაც ვაწავლით სტუდენტებს, მაგ., მეწარმეობას, სამოქალაქო განათლებას, რაოდენობრივ წიგნიერებას, საოფისე პროგრამებს და ა.შ. პროგრამების უმეტესობა, განსაკუთრებით მეოთხე საფეხურის პროგრამების, მთლიანად მოდიფიცირებულია. დღეს უკვე ვახორციელებთ ოთხი სახეობის ინტეგრირებულ პროგრამას და გვყავს საბაზო განათლების სტუდენტები, რომლებმაც სკოლაში მიიღეს ცხრა კლასის განათლება და ახლა სამი წლის განმავლობაში პროფესიის შესწავლასთან ერთად აიღებენ ისეთ დოკუმენტს, რომლის საშუალებითაც შეეძლებათ უმაღლეს სასწავლებელში ისწავლონ.

მარინე წიკლაური: ჩვენი კოლეჯი წარმატებულად ჩაერთო ინტეგრირებული პროგრამების სწავლებაში, რაც ითვალისწინებს საბაზო განათლების მქონე პირებისთვის, პროფესიულ განათლებასთან ერთად, სრული ზოგადი განათლების მიცემას. ამ ჯგუფებში ჩარიცხული სტუდენტები მოტივირებულები არიან. განსაკუთრებით მამოტივირებელია ის გარემოება, რომ მათ მომავალში არ შეექმნებათ ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხი - თუ გადაწყვეტენ, მიიღონ აკადემიური განათლება, სწავლების უწყვეტობა გარანტირებული ექნებათ. ასევე მათ მოსწონთ არასასკოლო გარემო და სტუდენტური ცხოვრება. აღნიშნული პროგრამებისთვის

შეიქმნა სასწავლო ლაბორატორია. პრაქტიკული კომპონენტების სწავლისთვის სტუდენტებს საშუალება აქვთ, ჩაატარონ ცდები თუ სხვა პრაქტიკული დავალებები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა პროფესიული მასწავლებლებისთვის კონკურსი და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით წარმატებით გადამზადდა ყველა შერჩეული პროფესიული მასწავლებელი ინტეგრირებული სწავლებისთვის. გადამზადებული მასწავლებლები ახალი სკოლის მოდელით ახორციელებენ სწავლებას ინტეგრირების კომპონენტში, თითოეული მათგანი მაღალი პასუხისმგებლობითა და ინტერესით ასწავლის სტუდენტებს.

ამ ეტაპზე რამდენ სტუდენტს იღებს კოლეჯი და არის თუ არა დაინტერესება რეგიონებიდან?

ნოდარ ხარაზიშვილი: მაქსიმალური კონტინგენტი განსაზღვრულია 592 პროფესიული სტუდენტით, რაც სრულად ივსება. სამომავლოდ დაგეგმილია, გაიზარდოს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა 950-მდე, ახალი პროგრამების დამატებისა და სასწავლო სახელოსნოების ამოქმედების გზით. კოლეჯში უკვე ფუნქციონირებს სასწავლო დანიშნულების 25-ზე მეტი აუდიტორია/ლაბორატორია. 2020-21 წლებში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმართველობის ყველა რგოლთან, განსაკუთრებით გლდანის რაიონის მუნიციპალურ და თბილისის საქალაქო სამსახურების დონეზე, მიმდებარე საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად, მობილიზებულ იქნა ყველა რესურსი თბილისიდან და რეგიონებიდან 2020-2021 წლების მიღებებისთვის, კოლეჯში მეტი მსურველის მოსაზიდად. კოლეჯი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტების მოზიდვაზე თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონებიდან, თუმცა სპეციფიკური სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე, დიდია დაინტერესება მთიანი და საზღვრისპირა რეგიონებიდან. ეს ფაქტი ძალიან გვახარებს. კოლეჯი გახსნილია საჯარო და კერძო სკოლებისთვის, იგულისხმება სკოლის მოსწავლეები, ასევე ფართო სასკოლო საზოგადოება (სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მშობლები). 2020-ში ამოქმედდა მხარდამჭერი ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“ და დაინტერესებულებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ჩვენს პროგრამებს, ელექტრონული კალენდრის მეშვეობით გამოთქვან სურვილი (დარეგისტრირდნენ) ვიზიტზე. ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, მეორე მხრივ – მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობის შეთავაზება. ასევე კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე მოქმედებს ე.წ. „ვირტუალური ტური კოლეჯში“, რომელიც ონლაინრეგისტრაციის საფუძველზე იძლევა კოლეჯის დათვალიერების შესაძლებლობას სახლიდან გაუსვლელად.

თანამშრომლობთ თუ არა უცხოურ პროფესიულ სასწავლებლებთან?

ნოდარ ხარაზიშვილი: 2019 წელს ესტონურ მხარესთან პარტნიორობით, კერძოდ, ტალინის ეკონომიკური სკოლისა და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით, ერთობლივად შემუშავდა სოციალური მედიის მართვის ახალი პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე კოლეჯში დაინერგება. ის უნიკალურია იმ მხრივ, რომ მსგავსი არც საბაკალავრო პროგრამა არსებობს საქართველოში და არც პროფესიული. პირველი სწავლება ამ პროგრამაზე 2020 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საკოორდინაციო ჯგუფის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის თბილისის ოფისის ერთობლივი ინიციატივით ონლაინ განვახორციელეთ. პერიოდულად ახალ მიღებას ვაცხადებთ და ახლახანს უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა – კონკურსში 290 ადამიანი დარეგისტრირდა. კოვიდპანდემიის გამოწვევიდან გამომდინარე, ამ პროფესიაზე კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნა. 2020-21 წლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის ფარგლებში დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე: საწყობის ლოჯისტიკა და მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება, სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია, ხიდურა ამწის ოპერირება და ა.შ.

რა სიძნელეები შეგიქმნათ პანდემიამ და როგორ შეძელით ამ გამოწვევებთან გამკლავება?

ნოდარ ხარაზიშვილი: შარშან მარტიდან კოლეჯში სწავლა შეწყდა. შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, მოვახერხეთ პირველივე თვეებში გარკვეულ მოდულებზე ონლაინსწავლების დაწყება შერეული ცვლებით და რეჟიმებით. შარშან, 6 ივლისიდან აღდგა კოლეჯებში პირისპირ სწავლების პროცესი. გარკვეულ მოდულებში ონლაინსწავლების ფორმას ახლაც მივმართავთ. პანდემიის მიუხედავად, შარშან და წელს 6 ახალი პროგრამა დავამატეთ, ასევე 4 ინტეგრირებული პროგრამა. გავზარდეთ კვოტა ცალკეულ პროგრამებზე. შეტანილი გვაქვს განცხადება ერთ-

ერთ კომპანიასთან ერთად ორი ახალი პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაზე. ეს არის: სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია და ხიდურა ამწის ოპერირება. ძალიან დიდი მხარდაჭერა გვაქვს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფონდის. GIZ-ის ექსპერტები გვეხმარებიან პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მომზადებაში და პარტნიორების მოძებნაში.

მარინე წიკლაური: უკვე მეორედ მოხდა ეპიდემიის პირობებში აპლიკანტთა რეგისტრაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურის ორგანიზება. 2020 წლის საშემოდგომო მიღებებზე ჩვენ შევძელით ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით შეხვედრები ჩარიცხულ სტუდენტებთან და მათთვის სასწავლო გარემოსა და პროფესიულ პროგრამებზე ინფორმაციის მიწოდება. დაინტერესებულ ადამიანებს ამ პერიოდში შეეძლოთ ვირტუალური ტურით მოენახულებინათ კოლეჯი. სასწავლო პროცესი მონაცვლეობით იმართებოდა როგორც დისტანციურად, ასევე რეალურ გარემოში და დღეს უკვე დაინერგა ჰიბრიდული სწავლება. გვაქვს ჯგუფები და პროფესიული პროგრამები, რომლებზეც ისევ მიმდინარეობს დისტანციურად სწავლება, მაგალითად, ინტეგრირებულ კომპონენტში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდულებზე – ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია; ასევე რამდენიმე ზოგადი მოდულის კომპონენტზე, როგორიცაა რაოდენობრივი წიგნიერება, ინტერპერსონალური კომუნიკაცია და სხვა.

ქალბატონო მარინე, თქვენ სასწავლო პროცესის მენეჯერი ბრძანდებით. როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლების ეფექტურობას, რომელიც ორმაგი გამოწვევაა პროფესიული განათლებისთვის, რომლის ერთ-ერთი პრინციპიც კეთებით და საწარმოო პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებაა?

მარინე წიკლაური: დისტანციური სწავლების გამოწვევებსა და ტექნიკურ საჭიროებებზე დაყრდნობით, ჯგუფებში დარგის ექსპერტებისა და პროფესიული მასწავლებლების დახმარებით შევძელით პრაქტიკული კომპონენტისა და თეორიული კომპონენტის გამიჯვნა და ამის დისტანციური სწავლებაში განხორციელება. პრაქტიკული კომპონენტის სწავლება უკვე რეალურ გარემოში ხდებოდა, მიღწეული შედეგების დადასტურება (გამოცდა) კი ხდებოდა მხოლოდ კონტაქტურად – კოლეჯში. თუმცა არაქართულენოვან სტუდენტებთან ქართული ენის მოდულში და ბუღალტრული აღრიცხვის – პრაქტიკული პროექტის მოდულში შევძელით დისტანციურად სწავლის შედეგების დადასტურებაც.

განსხვავებით ზოგადი და უმაღლესი განათლების მოსარგებლეთაგან,

მარინე წიკლაური. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე



ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

პროფესიულ განათლებაში, რომლის სწავლების 90% პრაქტიკისგან შედგება, სწავლების გარკვეული სირთულეები დაუძლეველია. არსებობს მოდულები, რომლების სწავლებაც შეუძლებელია დისტანციური მიდგომით დაიძლიოს, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი პროფესიული პროგრამის დასრულებამ ცოტა გადაიწია, მაგრამ ორიენტირებულები ვართ სწავლების ხარისხზე და ის მაქსიმალურად დაცულია.

ჩვენ მუდმივად ვიკვლევთ, რამდენად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ტექნიკური საშუალებები. თუ სტუდენტი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო არ აქვს ტექნიკური საშუალება, ჩვენ ვეხმარებით, რომ აუდიტორიაში გამოყოფილი ადგილიდან ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში. თუმცა ამის შესაძლებლობა არ არის მაშინ, როდესაც სრული კარანტინია ან მთავრობის დადგენილებით სწავლება რეალურ გარემოში შეწყვეტილია.

თანამშრომლობთ თუ არა სხვადასხვა კომპანიასთან?

ნოდარ ხარაზიშვილი: დღე არ გავა, რომ კომპანიები არ შეგვეხმიანონ, რომ სჭირდებათ სპეციალისტები. ამ კვირაში ერთ-ერთი სამკერვალო კომპანია დაგვიკავშირდა – სასწრაფოდ სჭირდებოდა 30 კურსდამთავრებული. გვეხმიანებიან მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორების საჭიროების შესახებ, დიდია დაინტერესება კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტებით, ხშირად სჭირდებათ ტოპოგრაფიის სპეციალისტები, განსაკუთრებით რაიონებში. კურსდამთავრებულთა მაღალი რაოდენობის შენარჩუნება კოლეჯის ერთ-ერთი გამოწვევაა – ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება ნამდვილად არის დასაქმების წინაპირობა. ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის სსსმ/შშმ სტუდენტები წარმატებულები იყვნენ. წინა წლებთან შედარებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი რამდენიმე პროგრამაზე გაიზარდა და შეადგინა 79%-ი.

ეს არის იმ აქტივობების დამსახურება, რომლებშიც კოლეჯი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის დაცვის სამინისტრო, დასაქმების სააგენტოები ვართ ჩართული, რათა კომპანიებს გავაცნოთ პროფესიული განათლება და

კადრები. ის სტაგნაცია, რომელიც იყო წინა წლების განმავლობაში, როდესაც პროფესიული განათლება არცთუ ისე პოპულარული იყო, რადიკალურად შეცვლილია. წელს აბსოლუტური რეკორდი მოიხსნა და ძალიან ბევრი რეგისტრანტი იყო პროფესიულ პროგრამებზე. კოლეჯებს საშუალება მოგვეცა, თავად შევარჩიოთ ჩვენი ბენეფიციარები. ეს მეტყველებს იმაზე, რომ პროფესიული განათლება პოპულარულია, ადამიანები ისწრაფვიან ამისკენ და ხედავენ სამომავლო დასაქმების პერსპექტივას სწავლის დასრულების შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ პროფესიული განათლების განვითარების ხედვა სწორია და ამ მხრივ გატარებული რეფორმები იყო დროული.

მარინე წიკლაური: რაც შეეხება დარგობრივ მოდულებს, ვცდილობთ, ყველა მოდული განხორციელდეს კონტაქტურად რეალურ სასწავლო გარემოში, ლაბორატორიებსა და საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე პარტნიორ ორგანიზაციებთან. ამ ეტაპისთვის პროფესიული პროგრამა საფინანსო სერვისების ერთი ჯგუფი საწარმოო პრაქტიკას გადის შპს კრედო ბანკსა და შპს ლიბერთი ბანკში; ასევე საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის ჯგუფის საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს შპს სტაგი ჯგუფში. ინფორმაციის ტექნოლოგიის ჯგუფი მონაცვლეობით გაივლის პრაქტიკული პროექტის კომპონენტს შპს კოლეჯ „ბარაკონსა“ და სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწავლება დავასრულეთ პროფესიული პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგიის ჯგუფთან, რომელიც მიმდინარეობდა დუალური სწავლების მიდგომით და განხორციელდა შპს „სკაიჰაისთან“ ერთად. სტუდენტებმა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემდეგ მუშაობა დაიწყეს აღნიშნულ ორგანიზაციაში. ფაქტობრივად, ეს იყო სწავლება დასაქმებისთვის. სასწავლო მოდულების 60%-ზე მეტი მიმდინარეობდა რეალურ სამუშაო გარემოში ორგანიზაცია „სკაიჰაიში“. პროფესიული განათლებისთვის მნიშვნელოვანია ბიზნესის ჩართულობა და დაკვეთა პროფესიული სასწავლებლების მიმართ. იმედი გვაქვს, რომ ბიზნესსექტორი უფრო მეტად დაინტერესდება პროფესიული განათლებით.

რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

ნოდარ ხარაზიშვილი: ვგეგმავთ ახალი პროგრამების დამატებას. მოვახერხეთ ის, რომ ყველა წამყვანი პროგრამა, რომელიც გვქონდა საგნობრივი პროგრამების პერიოდში, მოდულური ვარიანტები – მთლიანად ავითვისეთ. ვფიქრობ, უფრო მეტად შეგვიძლია ვიზრუნოთ ადამიანური რესურსების განვითარებაზე, კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე მასწავლებლებად და ინსტრუქტორებად და სწავლების ხარისხის გაზრდაზე. ვინაიდან იგეგმება, გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა ახალი პროგრამების დანერგვისა და სიმძლავრეების ოპტიმიზაციის გზით, დამატებითი აღჭურვა სამომავლოდ გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. მნიშვნელოვანია ასევე FAB-LAB-ის პროექტის განვითარება, რათა მოხდეს ამ ლაბორატორიის ფუნქციურად მეტი დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც ეს კონცეფცია ითვალისწინებს ინოვაციების/კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმოების ხელშეწყობაში. კოლეჯის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა არის დუალური პროფესიული განათლების დანერგვა, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებს. დუალური პროფესიული განათლება ინფორმაციის ტექნოლოგიის მიმართულებით წარმატებით დაინერგა. სამომავლოდ ის დამსაქმებელთა ინტერესებს სასწავლო დაწესებულებასთან დააკავშირებს. ვფიქრობთ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების დაგეგმვის ხედვა სწორია, რათა გაძლიერდეს დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს ეფექტურობის გაუმჯობესება. ეს მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად და ხელს უწყობს ყველა რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. მზად ვართ, გავუზიაროთ სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩავრთოთ ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

მარინე წიკლაური: ჩვენი კოლეჯის ინფრასტრუქტურა, სასწავლო ლაბორატორიები და აუდიტორიები უტოლდება ევროპული პროფესიული სასწავლო დაწესებულებებისას. ამას 2020 წლის ივლისიდან დაემატა კოლეჯის ტერიტორიაზე თანამედროვე და ინოვაციური ავტოსახელოსნო, სადაც მოხდება პრაქტიკული სწავლება პროფესიული პროგრამების – მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება, მსუბუქი ავტომობულის ძრავის და სავალი ნაწილის შეკეთება. აღნიშნული პროგრამებისთვის განკუთვნილი სასწავლო აუდიტორიები უნიკალური სასწავლო რესურსებითაა აღჭურვილი. ავტოსახელოსნო დღეს კოლეჯის ერთ-ერთ საამაყო სასწავლო რესურსია, სადაც სტუდენტებს მაღალი სტანდარტების სერვისს შესთავაზებენ.

ინკლუზიური პროფესიული განათლება – შესაძლებლობების რეალიზების საუკეთესო გზა

შორენა ტყეშელაშვილი

განათლების ექსპერტი მარიკა ზაქარეიშვილი ჟურნალთან „პროფესიული განათლება“ საუბრობს ინკლუზიურ განათლებაზე და მასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ჩართულობაზე.

რა გზა გაიარეთ, პროფესიულ განათლებაში რომ შემოგეყვანათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები და დაგეინტერესებინათ პროფესიული სწავლებით?

პროფესიული განათლების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართვა 2016 წლიდან დაიწყო ნორვეგიის მთავრობის დახმარებით. 2016 წელს, სანამ ინტერვენციებს დავიწყებდით, ჩავატარეთ კვლევა. მაშინ სულ რაღაც 22 ადამიანი იყო პროფესიულ განათლებაში ჩართული, რადგან იმ პერიოდში მხარდამჭერი მექანიზმები არ არსებობდა. შეუძლებელია, განათლება იყოს ხარისხიანი, თუ ვერ აკმაყოფილებს და ვერ ითვალისწინებს ამ ადამიანების საჭიროებებს. შესაბამისად, ეს პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ მიმართულებად იქცა და დაიწყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. დავიწყეთ საკანონმდებლო ჩარჩოდან. ამ პერიოდში მუშავდებოდა კანონი პროფესიული განათლების შესახებ და ჩვენ – ინკლუზიური განათლების ახალ კანონზე მომუშავე გუნდმა ვეცადეთ, რომ კანონი ყოფილიყო ინკლუზიურობის პრინციპზე დაფუძნებული. მთავარი პრინციპი ამ კანონისა არის ის, რომ ყველამ უნდა მიიღოს განათლება და განათლება უნდა იყოს ხარისხიანი ყველასთვის. შემდეგი ეტაპი იყო ადოკვატირების გაწევა და ბიუჯეტირება. პროფესიულ განათლებაში სწავლება ზოგადად ყველასთვის დაფინანსებულია, ვინც ბარიერს გადალახავს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ჩარიცხვის ალტერნატიული წესი შემუშავდა, მათზე მორგებული, რომ თანაბარ პირობებში ჩაგვეყენებინა და ჩარიცხვისას მინიმალური ბარიერის გადალახვის პრობლემა არ დამდგარიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიცვალა სწავლების დაფინანსების წესი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფინანსების კალათას დაემატა მხარდამჭერი სერვისებისთვის საჭირო თანხა და დაფინანსების მექანიზმიც გაიმართა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სასწავლო რესურსების ნაწილი – მასწავლებლებისა და მხარდამჭერი ადამიანების მომზადება. აღნიშნულ საკითხებზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა, რადგან ეს ის სფეროა, რომელიც მუდმივ განვითარებას საჭიროებს. ჩვენი მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მუდმივად გადიან ტრენინგებს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი კარგი შესაძლებლობაა სტუდენტისთვის, რომ მოვიდეს პროფესიულ განათლებაში, მის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განათლება მიიღოს და პროფესიას დაეუფლოს. ყველას სჭირდება ეკონომიკური გაძლიერება, ყველას სჭირდება თვითრეალიზება და ამას ცოდნისა და განვითარების გარეშე ვერ გაკეთებს. პროფესიული განათლება ეხმარება ჩვენს სტუდენტებს, რომ სათანადო განათლება მიიღონ, შრომის ბაზარზე დაიმკვიდრონ ადგილი ან უბრალოდ რეალიზდნენ და აკეთონ ის, რაც სიამოვნებთ.

როგორ შეიძლება მოხვდნენ შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პროფესიულ განათლებაში?

წელიწადში ერთხელ ცხადდება რეგისტრაცია პროფესიულ პროგრამებზე. ეს ხდება გაზაფხულზე, მარტი-აპრილის თვეში და ხშირად გრძელდება აგვისტოს ჩათვლითაც. თუმცა იქამდე მოზარდსა თუ ზრდასრულს, რომელიც დაინტერესებულია პროფესიული განათლებით, შეუძლია

განცხადებით მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მას აუცილებლად დაუკავშირდება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც დაადასტურებს, რომ მას აქვს სპეციალური საჭიროებები, მოხდება შეფასება და მას მისცემენ გარკვეული რჩევებს პროფესიული ორიენტაციის კუთხით. პროფესიულ სასწავლებელში 100-ზე მეტი პროფესიაა და საშუალოდ თითო კოლეჯში 20-ზე მეტი პროფესია შეიძლება იყოს. ამ ინფორმაციის გადამუშავებას გარკვეული დრო სჭირდება ნებისმიერი ადამიანისთვის. როდესაც საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე გვაქვს საუბარი, განსაკუთრებული მიდგომებია საჭირო, რომ ავუხსნათ/გავაცნოთ პროფესიები, რომლებსაც საგანმანათლებლო დაწესებულებები სთავაზობენ. აუცილებელი ნაბიჯია, დაინტერესებულმა პირებმა მიმართონ განათლების სამინისტროს (მაშინაც კი, როდესაც პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია ჯერ არ არის გამოცხადებული) და მიიღონ შეფასება მულტიდისციპლინური გუნდიდან, თუ არ აქვთ ჩამოყალიბებული ინტერესი კოლეჯისა და პროფესიის შესახებ და მიიღონ კონსულტაციები პროფესიული სასწავლებლებისა და პროფესიების შესახებ. მეორე საფეხურია, როდესაც პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია გამოცხადდება, დარეგისტრირდნენ და მონიშნონ ბაზაში, რომ არიან სპეციალური საჭიროების მქონე (თუ შეფასება უკვე გაკეთებულია, დასკვნა ავტომატურად აისახება ბაზაში, თუ არა – შეფასდებიან) და აღნიშნონ მაქსიმუმ სამი პროფესია, რომლის დაუფლებასაც ისურვებდნენ. მესამე ეტაპზე შეფასებული და რეგისტრირებული პირებისათვის კოლეჯში ორგანიზებულია პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვა. აპლიკანტთან, კოლეჯის შიდა სპეციალისტთან და საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის იურიდიულ წარმომადგენელთან ერთად ხდება გადაწყვეტილების მიღება, რომელ პროგრამაზე ჩაირიცხოს პირი, იმის გათვალისწინებით, თუ რა უფრო გამოსდის და რა უფრო აინტერესებს.

ერთადერთი პირობა პროფესიულ სასწავლებელში რეგისტრაციისათვის არის ატესტატის ქონა. რიგ პროგრამებზე საკმარისია 9 კლასის ატესტატი, რიგ პროგრამებს კი სჭირდება 12 კლასის ატესტატი. განათლების სისტემაში არსებობს სიახლე ინტეგრირებული პროგრამების სახით, სადაც პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების (10-12 კლასები) სწავლის შედეგები და ასეთი პროგრამის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში გაიცემა ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. ეს კარგი საშუალებაა 9 კლასის ატესტატის მქონე პირებისათვის. მსგავსი პროგრამების დანერგვა სულ ახლახან დაიწყო და მასშტაბი ნელ-ნელა იზრდება.

გვესაუბრეთ იმ სასწავლო პროგრამებზე, რომლებსაც პროფესიული განათლება სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს. რას ირჩევენ ისინი ყველაზე ხშირად?

სტუდენტებს მრავალფეროვან პროგრამებს სთავაზობს პროფესიული სასწავლებლები. გვაქვს პროგრამები სამშენებლო მიმართულებით, IT, კულინარიის, აგრარული, ტურიზმის მიმართულებით, ასევე ძალიან ხშირად ითხოვენ ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროგრამებს. ახლა მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ ახალი კოლეჯი გაკეთდეს, რომელსაც ექნება სახელოვნებო მიმართულება. პროგრამების მრავალფეროვნება უნდა იყოს რეგიონებშიც, რადგან მსურველს საცხოვრებელ სახლთან ახლოს შეეძლოს სასურველი პროფესიის მიღება. პროფესიული განათლების სისტემაში პროფესიები და მათი რეგიონული განაწილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, რაც ასევე გასათვალისწინებელია. საგულისხმოა, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების მიდგომა საქართველოში თანასწორობის პრინციპს ეფუძნება და თუკი რომელიმე პროგრამას სტანდარტით არ აქვს განსაზღვრული რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა, ნებისმიერი პროგრამა შესაძლებელია იყოს მისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის, ვიმეორებ, ატესტატის არსებობის შემთხვევაში.

როგორი ფიზიკური გარემო და რა მხარდამჭერი სერვისები ხვდებათ შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს პროფესიულ სასწავლებლებში?

სასწავლებლების უმრავლესობაში გამართულია ინფრასტრუქტურა. ხუთში არის უნივერსალური დიზაინი, რაც გულისხმობს იმას, რომ სასწავლებელში არის შიდა ლიფტები, ბილიკები. ახალი სასწავლებლები, რომლებიც შენდება, თანამედროვე სტანდარტებზეა მორგებული. ფიზიკურ გარემოსთან ერთად მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალი, რადგან შეიძლება სტუდენტი იყოს საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და ამავე დროს ძალიან ბევრი სხვადასხვა საჭიროება ჰქონდეს, მაგალითად, სჭირდებოდეს ინდივიდუალური ასისტენტი, სპეციალური მასწავლებელი. თუ ეს მის დასკვნაში არის აღნიშნული, სახელმწიფოს აქვს დანამატი ამისთვის. ამ საჭიროებების დასაფინანსებლად კვარტალში ერთხელ 1000 ლარით მეტი ირიცხება სტუდენტებისთვის. სტუდენტს ენიშნება ინდივიდუალური ასისტენტი, თუმცა ხშირ შემთხვევაში სასწავლო დაწესებულებაში არის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. გვაქვს საინტერესო სერვისი – მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი. მაგალითად, თუკი უსინათლოა ადამიანი, მას თავიდან ძალიან სჭირდება, რომ მარშრუტში გაერკვეს და დამოუკიდებლად აითვისოს სივრცე კოლეჯში. ამიტომ შესაძლებელია დაიფაროს და ანაზღაურდეს მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტების მომსახურების საფასური. ძალიან მნიშვნელოვანია ყრუთა თემიც და

მარიკა ზაქარეიშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

მათზე მორგებული სერვისი. ადამიანი, რომელიც არ მეტყველებს ჩვეულებრივი სამეტყველო ენით და მეტყველებს ჟესტური ენით — კოლეჯებში მათთვის შეთავაზებულია ჟესტური ენის თარჯიმნები და ითარგმნება სასწავლო პროცესი. აქაც არსებობს გარკვეული სირთულეები. მნიშვნელოვანია, პედაგოგი კარგად ფლობდეს ჟესტურ ენას. ჟესტური ენის თარჯიმნების კორპუსი დიდი ხანია ვითარდება და მუდმივ განვითარებას საჭიროებს. განსაკუთრებით რეგიონში დგას ეს პრობლემა. სტუდენტს, რომელსაც აქვს რესურსი, შეიძლება ძალიან გაუჭირდეს მობილობისა და ორიენტაციის ტრენერის მოძებნა. ასევე არსებობს გარკვეული მდგომარეობები, როდესაც სტუდენტს ტრანსპორტირებასაც უფინანსებენ, რომ მივიდეს კოლეჯამდე.

როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი და იღებენ თუ არა სტუდენტები დიპლომს სწავლის დასრულების შემდეგ?

მაქსიმალურად ვმუშაობთ, რომ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ჰქონდეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თუ სჭირდებათ. მასწავლებლები ყველანაირ ძალას ხმარობენ, რომ ჩართონ სტუდენტები აქტიურ სწავლებაში, რადგან მარტო კოლეჯში მისვლა არ არის საქმის კეთება. ყველა სამუშაო იკარგება, თუ სტუდენტი აქტიურად არ ერთვება და არ არის მონაწილე სწავლა-სწავლების პროცესისა, თავისი ინდივიდუალური გეგმით, პრაქტიკის ნაწილის ცოტა უფრო მეტად გაზრდით. როგორც აღვნიშნე, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში ჩართულები არიან ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, ასისტენტები, ჟესტური ენის თარჯიმნები და სხვა. ეს ყველაფერი ეხება სადიპლომო კურსებს, დიდ პროგრამებს. დიპლომის აღება დამოკიდებულია გამოცდების ჩაბარებაზე და გარკვეულ პროცესებზე. საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ის პირები, რომლებიც ყველა ნაბიჯს დაძლევენ ადაპტირების პირობებში, ჩააბარებენ შუალედურ გამოცდას და დასკვნითს, მიიღებენ დიპლომს. თუ ვერ ახერხებენ ამის გადალახვას, აუცილებლად ეძლევათ სერტიფიკატი, სადაც გაწერილია ყველა ის შედეგი, რომელზეც ის ადამიანი გავიდა. სერტიფიკატში ასახული ინფორმაცია მნიშვნელოვანია დასაქმების მიზნებისათვის, რათა სამუშაოზე აყვანის დროს გათვალისწინებული იქნას ინდივიდის ცოდნა და უნარები. შეიძლება ის ადამიანი ძალიან კარგად ამზადებს გარკვეულ კერძებს, კონკრეტულ რაღაცაში არის დახელოვნებული და მან შრომით ბაზარზე უნდა იპოვოს თავისი თავი.

რა ხდება სწავლის დასრულების შემდეგ, როდესაც სტუდენტები სასწავლებლებს ტოვებენ, საქმდებიან თუ არა ისინი და როგორ?

დასაქმება უკვე არის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრეროგატივა, სადაც დასაქმების ხელშეწყობის სპეციალური სამსახური არსებობს და ეს სამსახური ცდილობს, სერვისები ამ მიმართულებით ააწყოს. მე, როგორც განათლების ექსპერტს, გამიჭირდება, ამ სამსახურის ეფექტურობაზე ვილაპარაკო, მაგრამ

გარკვეულ რეგიონებში დასაქმების სპეციალისტები არსებობენ, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით. ვისურვებდით, უფრო მეტი კოოპერაცია იყოს კოლეჯებსა და დასაქმების სამსახურებს შორის, რომ გადასვლა სკოლიდან კოლეჯში და კოლეჯიდან დასაქმების ადგილზე უფრო მეტად ეფექტური გახდეს.

რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი ინტერესდება ყოველწლიურად პროფესიული სწავლებით?

წელიწადში დაახლოებით 250 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოდის პროფესიულ განათლებაში. ვერ ვიტყვი, რომ ამ წლების განმავლობაში დიდი ნახტომი იყო და გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა, მაგრამ სტაბილურად დაახლოებით 200-250 ადამიანი გროვდება ჩვენს პროგრამებზე. ეს მაფიქრებინებს, რომ ბოლომდე არ იციან ადამიანებმა, სად არის კოლეჯი, როგორ ხდება ჩარიცხვა და სხვა. ამის შესახებ ინფორმაცია მათ შეიძლება ნებისმიერ რესურსცენტრში მოიპოვონ, დარეკონ და გაარკვიონ, თავიანთ მუნიციპალიტეტში არის თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება; ან შესაძლოა არ იცოდნენ, რომ ასეთი ტიპის დაწესებულება არსებობს და გაუკვირდეთ, რომ ვინ ატარებთ ასეთი ტიპის კოლეჯში. ასევე არ იციან, რომ შეუძლიათ განათლების სამინისტროს მიმართონ თხოვნით, რომ თუნდაც სანამ რეგისტრაცია გამოცხადდება, შეფასდნენ და პროფორიენტაცია გაიარონ. ჩარიცხვის დროს არის პროფესიები, სადაც ძალიან დიდი მოთხოვნაა, მაგალითად, კულინარია. განათლების სამინისტრომ ახალი კრიტერიუმები შეიმუშავა და უფრო მორგებული გახადა სსმ და შშმ პირებისთვის სწავლების პროცესი. გარკვეული გადააზრება მოხდა ისეთი პროგრამების, სადაც დიდი მოთხოვნაა და ადგილი არ არის. დაინტერებულ პირებს შეუძლიათ მოინახულონ ვებგვერდები: www.vet.ge; www.vet.emis.ge. აღნიშნული ვებგვერდები ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა.

რა გამოწვევები გხვდებათ ამ პროცესში?

ერთ-ერთ გამოწვევად ისევ რჩება მასწავლებელთა კვალიფიკაცია, რადგან ამ სფეროში მუდმივად ახალი ტენდენციები შემოდის და ამას დაერთო პანდემიაც. სწავლება ხშირად მიმდინარეობდა ონლაინ ან ჰიბრიდული მეთოდით. ამ ტექნოლოგიებს სჭირდება შესწავლა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როგორ უნდა გადასცე ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს. ასევე ერთ-ერთი გამოწვევაა მრავალფეროვანი ინდივიდუალური სერვისები და მხარდამჭერი სასწავლო რესურები. როდესაც ვსაუბრობთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერაზე, უნდა გავითვალისწინოთ სხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის საჭიროებაც (ქალები, ეთნიკური უმცირესობები, მცოცავ ხაზთან მცხოვრები პირები, დევნილები და სხვა). მოხარული ვარ, რომ განათლების სამინისტრო აფართოებს ინკლუზიური პროფესიული განათლების მოდელს და აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდამჭერი სერვის-პაკეტების შექმნაზე.

ერთ-ერთ გამოწვევად უნდა დავასახელო ასევე შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ ფორმალურ მომზადება-გადამზადების სისტემაში მონაწილეობა. ორი წელია, რაც განათლების სისტემაში ინერგება ფორმალური სასერთიფიკატო კურსები, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფ პასუხს წარმოადგენს. პროგრამების პროვაიდერები არიან როგორც პროფესიული სასწავლებლები, ასევე კომპანიები ან პროფესიული სასწავლებლები და კომპანიები ერთად. პროგრამები ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული და ამ შემთხვევაშიც ბიუჯეტი ითვალისწინებს დანამატს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მხარდამჭერი სერვისებისათვის. სამწუხაროდ, სხვა პროგრამებზე ძალიან ცოტა შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი რეგისტრირდება. აღნიშნულ პროგრამებზე რეგისტრაცია მუდმივად მიმდინარეობს.

რას ურჩევდით იმ ადამიანებს, რომელთაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და ჯერ არ აურჩევიათ პროფესია?

ვურჩევდი, რომ დაინტერესდნენ პროფესიული განათლებით, სცადონ და ახლებურ ჭრილში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები. წლების განმავლობაში მხვდებოდნენ ადამიანები, რომელებიც სკოლის შემდეგ სახლში ისხდნენ, რადგან არ ჰქონდათ იმედი, რომ რაიმეს გაკეთებს აქვს აზრი შეზღუდული შესაძლებლობის თუ გარემო პირობების გამო. ბევრმა კი სცადა, დაეუფლა პროფესიას და აღმოაჩინა ახალი ინტერესები. დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები მუშაობენ ტურიზმის სფეროში, საინფორმაციო ტექნოლოგიების და გაყიდვების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი ბარიერია გადასალახი, ზღვა სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ადამიანებს ღირსეული მომავალი ჰქონდეთ. თუმცა მე მჯერა, რომ ყველაფერი პირადი გადაწყვეტილებით იწყება, ნებისმიერ პატარა მცდელობას, პიროვნული განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯს აქვს აზრი და საბოლოოდ შედეგის მომტანია.

30 წელი პროფესიაში — გრიგოლ ფრანგიშვილის წარმატების ისტორია პროფესიულ განათლებაში

ირმა კახურაშვილი

იმ დროიდან, როდესაც ქვეყნის განათლების სფეროში დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სს საქართველოს რკინიგზის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი და ერთობლივად დაიწყო ე.წ. დუალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. გრიგოლ ფრანგიშვილი სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ელექტრომომარაგების მეურნეობის პროგრამას ხელმძღვანელობს, თავდაპირველი პროფესიული ოჯახი კი საქართველოს რკინიგზაში აქვს, სადაც მისი, როგორც პროფესიონალის, პრაქტიკული გამოცდილება 30 წელს ითვლის. საქართველოს რკინიგზაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას ახლა უკვე სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტებს უზიარებს და ზრუნავს, მოამზადოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრები საქართველოს რკინიგზისათვის.

გრიგოლ ფრანგიშვილის პროფესიული გზა ელექტრომონტიორობიდან იწყება, ყველაზე დაბალი პოზიციით საქართველოს რკინიგზაში. დღეს კი ის ჩართულია საქართველოს მასშტაბით თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარების დანერგვასთან დაკავშირებულ ყველა პროექტში, ეცნობა მათ შესაძლებლობებს და ხელმძღვანელობს ელექტრომომარაგების სფეროს, როგორც საექსპლუატაციო, ისე სამშენებლო კუთხით. 2019 წელს მას ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა და მოწვეული პედაგოგიც გახდა.

ჩვენს რესპონდენტს თემქაზე, სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვხვდებით, სადაც სტუდენტებს უწევთ სწავლა — ნათელ, სუფთა აუდიტორიებში, რომლებიც აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ყველა ინვენტარით. ელექტრომომარაგების პროგრამის მასწავლებლის პრაქტიკის ერთ-ერთი ღონისძიებაა კოლეჯის ტერიტორიაზე საკონტაქტო ქსელის პოლიგონის მოწყობა, რომელიც სტუდენტებისთვის კარგი თვალსაჩინოებაც გახდა, რომ დაინახონ სწავლების ობიექტები — საკონტაქტო ქსელისა და ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენები, საკიდი კვანძები, გამტარები და სხვადასხვა მოწყობილობა-დანადგარები. გრიგოლ ფრანგიშვილი საკუთარ სტუდენტებთან ერთად ხშირად ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს როგორც თანამედროვე, ასევე ძველ აშენებულ წევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურებში. მისი აზრით, ასეთი სწავლების გამოცდილება სტუდენტს აძლევს იმის საშუალებას, აღიქვას და შეადაროს ძველს ახალი ტექნოლოგიები, კარგად გაიგოს მათი დანიშნულება და პრინციპები.

„ჩვენი პროგრამები მოიცავს როგორც ძველ ცოდნას, ისე ახალს. ძველი ცოდნის გარეშე არ შეიძლება ქვესადგურებში მუშაობა, სადაც ძველი მოწყობილობები ფუნქციონირებს, მაგრამ ყოველდღე ვხედავთ იმის საჭიროებას, რომ გადავიდეთ ციფრულ ტექნოლოგიებზე. ძალიან ბევრს ვმუშაობთ, რომ ჩვენმა სტუდენტებმა მაქსიმალურად შეისწავლონ ახალი გარემოებაც, რადგან შემოდის სიახლეები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები და მნიშვნელოვანია, ნაბიჯი ავუწყოთ ამ ტენდენციებს. ჩვენს სახელმწიფოშიც მზარდია საქართველოს რკინიგზის როლი და შესაბამისად, როგორც გზების მშენებლობა მიმდინარეობს საუღელტეხილო უბანზე, ასევე კეთდება ახალი გვირაბები, ახალი ხაზები, ელექტრომომარაგების კუთხით და ის წევის ქვესადგურები, რაც უნდა აშენდეს ან რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს. ყველა მოწყობილობა ახალი ტექნოლოგიების დახმარებით უნდა გავაკეთოთ“, — **გვიხსნის გრიგოლ ფრანგიშვილი.**

პროფესიულ კოლეჯში სწავლის დასრულების შემდეგ დაუსაქმებელი არავინ რჩება. კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს საქართველოს რკინიგზაში, მეტროში და ასევე თავისუფლად შეუძლია იმუშაოს ენერგეტიკული კომპანიის ყველა სფეროში. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს წელიწადში ორი მიღება აქვს, საგაზაფხულო და საშემოდგომო და მოთხოვნაც ყოველწლიურად იზრდება.

„დღეს საქართველოს რკინიგზას უჭირს კადრების ოპტიმიზაცია, რადგან ასაკოვანი პროფესიონალები გადიან პენსიაზე და გადიან პროფესიიდან. საქართველოს რკინიგზის განვითარებისთვის კი ახალი სისხლია საჭირო, რადგან ძალიან დიდი ნაბიჯები იდგმება რკინიგზის განვითარებისთვის და საჭიროა კვალიფიციური კადრები. ამიტომ ძალიან გვჭირდება კარგი პროფესიონალები, რომლებიც ჩვენთან დასაქმდებიან და თავადაც შეუწყობენ ხელს ჩვენი დარგის განვითარებას“, – ამბობს გრიგოლ ფრანგიშვილი.

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის კიდევ ერთ მიღწევად გრიგოლ ფრანგიშვილი BTEC-საგანმანათლებლო პროგრამას მიიჩნევს, რომლის სერტიფიკატიც მიიღო კოლეჯმა. პროგრამა 2020 წლიდან ხორციელდება კოლეჯში. მისი მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში – მათი, ვისაც საშუალება ექნებათ, ევროპაშიც იმუშაონ თავიანთი სპეციალობით.

მამა რკინიგზელი, დედა პედაგოგი – ასეთია გრიგოლ ფრანგიშვილის ოჯახური და პროფესიული გარემო და როგორც თავად ამბობს, ამ ტრადიციას „დაბალანსებულად“ აგრძელებს. ფიქრობს, რომ დედისგან პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიჭი გამოჰყვა, მამისგან კი – რკინიგზის მიმართ სიყვარული და ინტერესი. ამიტომ, კარგად იცის, როგორც გადასცეს პროფესიული ცოდნა შესაბამისი მეთოდით სტუდენტებს, რომ დაინტერესოს ახალგაზრდა თაობა პროფესიით და მაქსიმალურად ჩართოს სწავლების პროცესში.

„ვფიქრობ, კარგ პედაგოგს ლოიალურობა უნდა ჰქონდეს სტუდენტებთან. უნდა შეეძლოს კარგი ურთიერთობის დამყარება მათთან, არ უნდა დაჩაგროს რომელიმე, მუდმივად აკვირდებოდეს მათ შესაძლებლობებს და იყოს გაწონასწორებული. პრაქტიკაზე სტუდენტებთან ერთად დავდივარ, რაც ძალიან ახარებთ და გარკვეულ მოტივაციასაც აძლევთ. მინდა, ისეთი პროფესიონალები გამოვიდნენ, საქართველოს რკინიგზას და ქვეყანას რომ გამოადგებიან“.

გრიგოლ ფრანგიშვილის პროფესიული მიზანი სრულყოფილი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაა, რომლებიც თანამედროვე გამოწვევებს თამამად გაუსწორებენ თვალს და კვალიფიციურად შეძლებენ მუშაობას შესაბამისი მიმართულებით.

გრიგოლ ფრანგიშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

მადონა წერედიანი ლატალიდან – ორი პროფესიით სოფლისა და თემის ცვლილებებისთვის

შორენა ტყეშელაშვილი

მადონა წერედიანი ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლატალში ცხოვრობს. ის ადგილობრივ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მუდმივი განვითარების, ძიების, სწავლისა და გარემოს შეცვლის სურვილმა მადონას გადააწყვეტინა, ძველ სურვილებს მიჰყოლოდა და ახალ პროფესიაში მოესინჯა თავი. ბავშვობიდან სურდა ესწავლა კერვა და როდესაც შეიტყო, რომ თავის მუნიციპალიტეტში, კოლეჯ „თეთნულდში“ ამის საშუალება ექნებოდა, ჩაბარა კიდეც. ასე გახდა მასწავლებელი სტუდენტი, რათა კიდევ ერთ პროფესიას დაუფლებოდა.

კოლეჯი „თეთნულდი“ მესტიაში მდებარეობს და ავტორიზებული პროფესიული სასწავლებელია; ახორციელებს I, II, III საფეხურისა და მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. კოლეჯში სტუდენტები ისეთ პროფესიებს ეუფლებიან, როგორიცაა: მზარეული, კალატოზი, შემდუღებელი, ელექტროობის სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი, ინფორმაციის ტექნოლოგი, სარესტორნო საქმის სპეციალისტი, მკერავი და ა.შ.

ასე დაიწყო კიდევ ერთი საინტერესო ეტაპი მადონას ცხოვრებაში, ახალი პროფესიის შესწავლა და მიზნების დასახვა. მადონა ფიქრობს, რომ სწავლა არასდროს არის დაგვიანებული, მთავარია, ადამიანებს გაუჩნდეთ ცვლილებების ინტერესი.

„ჩემი სურვილი ყოველთვის იყო, მესწავლა კერვა და ამის კარგი შესაძლებლობა მომეცა მესტიაში, პროფესიონალ პედაგოგთან. დავინტერესდი ამ საქმიანობით და გადავწყვიტე, ჩემი შესაძლებლობები გამომეცადა ამ მხრივაც“, – ამბობს ის ჩვენთან საუბრისას.

მადონამ გადაწყვიტა, სწავლის პარალელურად პატარა სამკერვალო საწარმო გაეხსნა ლატალში, რათა დაესაქმებინა ის ადამიანები, რომლებიც სამუშაოს ვერ პოულობდნენ. მას სურდა, სოციალური საწარმოს შექმნით ქალების ჩართულობა გაეზარდა თავის თემში და ფინანსურად გაეძლიერებინა ისინი.

მალე ევროკავშირის პროექტების კონკურსი გამოცხადდა მესტიის მუნიციპლიტეტში. მადონამ თანამოაზრე ქალებთან ერთად სოციალური საწარმოს პროექტი წარმოადგინა. ბევრი პროექტი დაფინანსდა და მათ შორის გამარჯვებული იყო მადონა წერედიანისა და მისი მეგობრების პროექტიც.

„მოვიგეთ კონკურსი და გავხსენით სოციალური საწარმო, რომელსაც დავარქვით „ლატლიიშდი“, რაც ქართულად ნიშნავს „ლატალისთვის“. მე და ჩემი თანამოაზრეები გავერთიანდით ჩვენი სოფლის განვითარებისთვის, გავხსენით აიპ-საწარმო, არასამთავრობო ორგანიზაცია და თავიდანვე გადავწყვიტეთ, სოფლის სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაზე და პრევენციაზე ვყოფილიყავით კონცენტრირებული“, – ამბობს მადონა.

საწარმოს მართვას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ხელმძღვანელმა სწორად უნდა შეარჩიოს საწარმოს სეგმენტი და იზრუნოს მის განვითარებაზე. საწარმოს ამუშავებაში მადონას პროფესიულ კოლეჯში მიღებული განათლება დაეხმარა. ის უკვე მეორე წელია, რაც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტია და პედაგოგიურ საქმიანობას სამეწარმეო საქმიანობას უთავსებს. სხვადასხვა უნართან ერთად, მადონამ ისიც ისწავლა, რომ სრულიად შესაძლებელია, მონდომებულმა ადამიანმა სხვადასხვა საქმე ერთდროულად აკეთოს.

საწარმოში 15 ადამიანია დასაქმებული და მათგან ყველა ქალია. ისე გამოვიდა, რომ მადონამ არა მარტო სამეწარმეო საქმიანობას ჩაუყა-

მადონა წერედიანი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

რა საფუძველი მის თემში, ქალთა გაძლიერებაზეც იზრუნა. სოციალურ საწარმოში ქალები კერავენ თეთრეულს ადგილობრივი სასტუმროებისთვის, კერავენ ჩანთებს და სხვადასხვა აქსესუარს, რომელსაც ტურისტები ყიდულობენ.

საწარმოს შექმნიდან მალევე მადონამ და მისმა გუნდმა სვანური მარილისა და სვანური საპნის წარმოებაც დაიწყეს. ბებია-ბაბუების დროინდელი ტრადიციებით, სოციალურ საწარმოში ქალები ყოველგვარი დანამატის გარეშე ამზადებენ ეკოლოგიურად სუფთა სვანურ მარილსა და სვანურ საპონს. საწარმოში ასევე ამზადებენ თექის ნამუშევრებს, სუვენირებს, ნაქარგობებს. გარდა იმისა, რომ სოციალურ საწარმოში სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებენ, „ლატლიიშდი“ გახდა თავშეყრის ადგილი ადგილობრივი ქალებისთვის. სივრცე, რომელიც საწარმოს სახით ლატალელ ქალებს გაუჩნდათ, მნიშვნელოვანი ადგილია იმისათვის, რომ მოუსმინონ ერთმანეთის იდეებს, განიხილონ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი, იმსჯელონ პრობლემებზე და განხორციელების გზებიც მოძებნონ.

სოციალურ საწარმოში დასაქმებულ ადამიანებს ფინანსური დაინტერესებაც აქვთ და იმედიც, რომ ცოტა ხანში საწარმო ფინანსურ წარმატებას მოუტანს. მანამდე კი მცირედ მოგებას მის განვითარებას ახმარენ და საქველმოქმედო ღონისძიებებსაც მართავენ თემში იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სხვადასხვა საჭიროება აქვთ.

„სულ რამდენიმე თვეა, რაც გავხსენით საწარმო. ამ ხნის მანძილზე უამრავი საჭიროება გამოჩნდა. რასაც ვაწარმოებთ, ისიც საწარმოს განვითარებას ხმარდება. გვაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება ცოტა ხანში“, – ამბობს მადონა.

მას პროფესიული განათლება მიაჩნია ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად, ადამიანებმა საკუთარ სოფელში წამოიწყონ საქმე და შექმნან დოვლათი ადგილზე, ქალაქში წაუსვლელად.

„რატომღაც, საზოგადოებაში არსებობს ტენდენცია – კარგად სწავლობს თუ არა ადამიანი, მაინცდამაინც უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაამთავროს. შემდეგ კი ჩიხში აღმოჩნდებიან ხოლმე. თუ კარგი პროფესიონალები არ არიან, დასაქმების პრობლემა ექმნებათ. ვფიქრობ, მათ შეიძლება სცადონ და მოსინჯონ საკუთარი შესაძლებლობები პროფესიულ კოლეჯებში, სადაც ახალი პროფესიის სწავლა შეუძლიათ. მოგეხსენებათ, სვანეთში ტურიზმი იკიდებს ფეხს, კოლეჯში კი ის დისციპლინები ისწავლება, რაც მოთხოვნადია ადგილობრივ შრომის ბაზარზე“.

მადონა მაგალითია თავისი მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისა და თანამოაზრეებისთვის, თუ როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ მოასწრო ყველაფერი; როგორ ეძებო, დაინტერესდე, გამოიკვლიო, მოსინჯო და სცადო ყველგან საკუთარი შესაძლებლობები. ყველაზე მთავარი, რაც მას მთავარ თვისებასთან – დაუცხრომელ ინტერესთან ერთად გამოარჩევს, დროის ფასის ცოდნაა. ლატალისთვის მზრუნველ ქალებს მადონას ხელმძღვანელობით ბევრი იდეა და შორს გამიზნული გეგმა აქვთ ჩაფიქრებული.

სწავლება პროფესიული სტუდენტების მრავალფეროვან, არაერთგვაროვან ჯგუფებში — სირთულეები და დაძლევის გზები

ქეთევან ოსიაშვილი

სწავლა-სწავლება რომ ურთულეს პროცესს წარმოადგენს, განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკის ადამიანის სწავლებასთან გვაქვს საქმე და რა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში გვიწევს სასწავლო პროცესის წარმართვა, ნებისმიერი პედაგოგისთვის კარგად არის ცნობილი. თუმცა სირთულეები, რომლებიც სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში გვხვდება, შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამაში არაფერია გასაკვირი გამომდინარე იქიდან, რომ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან გვიწევს მუშაობა და სასწავლო მიზნებიც სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, როგორც წესი, განსხვავდება ერთმანეთისაგან. უნდა ითქვას, რომ რიგი პრობლემები, რომლებსაც შეიძლება პროფესიულ კოლეჯში შევხვდეთ, საკმაოდ სპეციფიკურია და ბევრი მათგანი არ გვხვდება არც სკოლაში და არც უმაღლეს სასწავლებელში.

იმ სირთულეებს შორის, რომლებიც პროფესიული კოლეჯის პედაგოგს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს და ხშირად ხელსაც კი უშლის სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში, ერთ-ერთი სტუდენტთა არერთგვაროვანი ჯგუფებია.

რა ძირითადი ნიშნები შეიძლება განასხვავებდეს პროფესიულ კოლეჯში ერთ ჯგუფში მყოფ სტუდენტებს ერთმანეთისაგან, რაც, თავის მხრივ, ჯგუფის მრავალფეროვნების ხელშემწყობი ხდება:

- **სტუდენტთა ასაკი** — დღეს პროფესიული კოლეჯის არცერთ პედაგოგს არ გაუკვირდება, თუ აუდიტორიაში მეცადინეობის ჩასატარებლად შესულს სრულიად განსხვავებული ასაკის სტუდენტები დახვდება. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს როგორც 16-17 წლის მოზარდი, ასევე 60 წლამდე და შესაძლოა უფრო ხანდაზმული ადამიანიც კი. ჩვეულებრივ, ასეთ ჯგუფებში სტუდენტთა ასაკობრივი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა;
- **სასწავლო მოტივაცია** — 16-17 წლის მოზარდი პროფესიულ კოლეჯში შეიძლება მშობლების სურვილით მოხვდა, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მათი შვილი სკოლაში უკვე აღარაფრის გამკეთებელი იყო, თავისი ცოდნით ვერც უმაღლეს სასწავლებელში შეძლებდა სწავლის გაგრძელებას და გადაწყვიტეს პროფესიულ კოლეჯში მისი შეყვანა იმ იმედით, რომ რაიმე ხელობას მაინც დაეუფლებოდა. ადვილი შესაძლებელია, ასეთი მოზარდის გვერდით სტუდენტის სტატუსით აღმოჩნდეს 50 წლის ადამიანი, რომელსაც თავისი საქმე უკვე წამოწყებული აქვს და სურს, პროფესიულ კოლეჯში გაიღრმავოს თეორიული ცოდნა კონკრეტული მიმართულებით და შეიძინოს მეტი პრაქტიკული გამოცდილება;
- **განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება** — ბუნებრივია, რომ ერთ ჯგუფში მყოფი განსხვავებული ასაკის, სხვადასხვა თაობის ადამიანები სრულიად განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების მატარებლები იქნებიან, რაც აუცილებლად აისახება როგორც მათ ქცევაზე, ასევე სასწავლო პროცესში ჩართულობაზეც;
- **განსხვავებული საბაზისო ცოდნა, განათლება** — 16-17 წლის იმ მოზარდის ცოდნა, განათლება, რომელმაც ეს-ესაა დატოვა სკოლა, სადაც შესაძლოა დიდად არც იწუხებდა თავს სწავლა-განათლებით, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება 25 წლის

ქეთევან ოსიაშვილი

იმ ახალგაზრდის განათლებისგან, რომელმაც უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ კონკრეტული სპეციალობის დაუფლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით პროფესიულ კოლეჯში გადაწყვიტა სწავლა;

- **განსხვავებული სოციალური სტატუსი, სოციალური როლი** – 16-17 წლის მოზარდს კოლეჯის მიღმა, ოჯახურ გარემოში შვილის, შვილიშვილის როლის „შესრულება უწევს“, მაშინ, როცა მის თანაჯგუფელ 55-60 წლის ქალბატონს მისი თანატოლი შვილი ან შვილიშვილი ჰყავს სახლში და დედის ან ბებიის როლით აქტიურად არის დაკავებული. ბუნებრივია, რომ აღნიშნული სოციალური როლები სერიოზულ გავლენას მოახდენს სასწავლო პროცესში მათ ურთიერთობებზე, მით უმეტეს, თუ ზრდასრული სტუდენტი მოზარდათან ურთიერთობას „მშობლის პოზიციიდან“ დაამყარებს, რაც, ბუნებრივია, მოზარდის გაღიზიანებასა და უკმაყოფილებას გამოიწვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებებიც – განსხვავებული ხასიათი, ტემპერამენტი, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, განწყობის ტიპოლოგიური თავისებურებები, რომელთა გაუთვალისწინებლობა ასევე პირდაპირ ასახვას ჰპოვებს სასწავლო პროცესში სტუდენტის წარმატება-წარუმატებლობასა და ქცევაზე.

ძირითადი სირთულეები, რომლებიც შეიძლება დადგეს არაერთგვაროვან, მრავალფეროვან, უამრავი ნიშნით განსხვავებული სტუდენტებით დაკომპლექტებულ ჯგუფში მომუშავე პედაგოგის წინაშე:

- ნებისმიერ პედაგოგს ევალება კონკრეტული საგნის სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა, განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპის ჯგუფებთან უწევს მუშაობა. სამწუხაროდ, პროფესიული კოლეჯების სტუდენტთა ჯგუფების არაერთგვაროვნება და მრავალფეროვნება ნამდვილად არ არის ასახული სასწავლო გეგმებში. ასე რომ, მხოლოდ პედაგოგის ოსტატობაზე, განათლებასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას ცალკეულ სტუდენტთან;
- გამომდინარე იქიდან, რომ არაერთგვაროვან ჯგუფში ხშირად სხვადასხვა თაობის ადამიანებს უწევთ ურთიერთობა, არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფში თაობათა შორის კონფლიქტებმა იჩინოს თავი, რომელთა მართვა და მოგვარება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე თანატოლთა შორის კონფლიქტების მართვა;
- იმის გამო, რომ არაერთგვაროვან ჯგუფებში პედაგოგს უწევს სასწავლო პროცესის ერთდროულად წარმართვა როგორც მოზარდებთან, ასევე ზრდასრულ ადამიანებთან, მას ესაჭიროება, ერთი მხრივ, მოზარდთა სწავლების, პედაგოგიკის და, მეორე მხრივ, ზრდასრულთა სწავლების, ანდრაგოგიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება და გამოყენება სასწავლო შედეგების მისაღწევად;
- ის სასწავლო მეთოდები, რომლებიც მოზარდებში დიდი მოწონებით სარგებლობს და მათი სწავლა-სწავლების პროცესში წარმატების მიღწევის შესაძ-

ლებლობას იძლევა, შესაძლოა ნაკლებ მოწონებას იმსახურებდეს ზრდასრულებში და სასწავლო შედეგების მიღწევას ერთგვარად ართულებდეს კიდეც, რაც პედაგოგს დამატებითი სირთულეების წინაშე აყენებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

რეკომენდაციები არაერთგვაროვან ჯგუფებში არსებული სირთულეების დაძლევისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის:

- ასეთ ჯგუფებში მუშაობისას სასურველი იქნება, უფრო მეტად გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რაც აერთიანებს და აახლოებს ჯგუფის წევრებს და ნაკლებად ვისაუბროთ იმაზე, რაც აშორებს და აცალკევებს მათ. ჯგუფის წევრების გამაერთიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს სასწავლო მიზნები, სასწავლო ინტერესები;
- აქტიურად გამოვიყენოთ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები, გავითვალისწინოთ თითოეული სტუდენტის შესაძლებლობები, საბაზისო განათლება, წინარე ცოდნა და აქედან გამომდინარე მოვახდინოთ მიწოდებული დავალებების დიფერენცირება, რაც სასწავლო შედეგების მიღწევის მეტ შესაძლებლობას მოგვცემს;
- ინტერაქტიული მიდგომა სწავლებაში თითოეულ სტუდენტს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის მეტ შესაძლებლობას მისცემს;
- გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე, სასწავლო მეთოდების სწორად შერჩევა შედეგებზე გასვლისა და სასწავლო მიზნების მიღწევის მეტ შესაძლებლობას მოგვცემს. განსაკუთრებით ეფექტიანია ასეთ ჯგუფებში პროექტებით სწავლება, რომელიც სტუდენტებს შორის ურთიერთსწავლების და ჯგუფის წევრებისთვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების უკეთეს პირობებს ქმნის;
- კარგი შედეგის მომტანი იქნება ჯგუფის ზრდასრული წევრების ადამიანურ რესურსად გამოყენება სასწავლო პროცესში, მით უმეტეს, თუ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კარგი ცოდნა და სათანადო განათლებაც აქვთ მიღებული. ამით მათ თვითრეალიზების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში დიდ დახმარებას გავუწევთ;
- გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სასწავლო პროცესში ზრდასრულთა გვერდით ყოფნამ და მათთან ერთად ჩართვამ სასწავლო საქმიანობაში სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში შეიძლება მოზარდთა სოციალურ ზრდას შეუწყოს ხელი. შემთხვევითი არ არის, რომ 15-16 წლის მოზარდები პროფესიულ კოლეჯში ბევრად კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე სკოლაში. ამის ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ „დიდობის“ გრძნობას, რომელიც მოზარდის ქცევის ძირითადი წარმართველი ძალაა, ბევრად უკეთესად იკმაყოფილებენ კოლეჯში, უფროსი თანაჯგუფელების გარემოცვაში მოხვედრისას. კოლეჯის სტუდენტის სტატუსი და უფროსი თანაჯგუფელების გვერდით ყოფნა, ასევე ცვლილებები გარშემომყოფთა დამოკიდებულებაში „დიდობის“ გრძნობის დაკმაყოფილების კარგ შესაძლებლობას ქმნის, რაც, თავის მხრივ, მოზარდის სოციალური ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობად იქცევა.

და ბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ პროფესიული კოლეჯების არაერთგვაროვან, მრავალფეროვან ჯგუფებში არსებული სირთულეები, სწავლებისა და ურთიერთობების სწორი სტრატეგიების გამოყენებით, შეგვიძლია მინიმუმამდე დავიყვანოთ; ცალკეული სირთულეები კი სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის დამხმარე საშუალებადაც კი გამოვიყენოთ.

მესტიის კოლეჯი „თეთნულდი“ – დიდი შესაძლებლობის ჰაბი ახალგაზრდებისათვის, სტუდენტური ცხოვრება და გამოწვევები

თაბუკა ციმინტია

კოლეჯ „თეთნულდის“ ახალგაზრდული მუშაკი, CISCO-ს აკადემიის ინსტრუქტორი, პროგრამის ხელმძღვანელი

ჯერ კიდევ როდის საუბრობდა დიდი ილია პროფესიულ განათლებაზე – „საჭიროა ისეთი სკოლების დაარსება, რომელშიაც ჩვენს შვილებს ასწავლიან, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდი ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე კარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკოდაც მშიერი არ ვიქნებოდი... მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან...“

პროფესიული განათლება, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა. ცნობიერების დონის ამაღლებასთან ერთად, მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება მაღალკვალიფიციურ კადრებზე. მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება ნამდვილად არის სოციალური კონსოლიდაციის გარანტი, პიროვნული, სოციალური, პროფესიული განვითარებისა და კეთილდღეობის აუცილებელი წინაპირობა. პროფესიული საგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ყველა მოქალაქე უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის შედეგების მიღწევის შესაძლებლობით.

გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე შრომის ბაზარი კომპლექსური, პიროვნული და პროფესიული უნარების მქონე კადრს ითხოვს, პროფესიული სტანდარტები სექტორის, პროფესიისა და სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით მუშავდება. ამ პროცესში წამყვანი როლი დამსაქმებლებსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს ენიჭებათ.

მაღალმთიან რეგიონებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია. მთაში ტურიზმი

დღითიდღე ვითარდება, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდების დარჩენას მთაში, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და მათთვის შესაძლებლობების გაჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზემო სვანეთის რეგიონი მაღალმთიან რეგიონებს შორის გამორჩეულია ღირებულებებისა და კულტურული მნიშვნელობის თვალსაზრისით. სწორედ აქ ფუნქციონირებს ერთადერთი კოლეჯი „თეთნულდი“ – განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა, მოამზადოს სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კოლეჯი „თეთნულდი“, მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ ადამიანებს სთავაზობს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

1. ინფორმაციის ტექნოლოგია;
2. კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
3. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული სამწლიანი);
4. სატყეო საქმე;
5. სატყეო საქმე (ინტეგრირებული სამწლიანი);
6. ბუღალტერია;
7. ელექტროობა;
8. კულინარიის ხელოვნება;
9. კონდიტერია;
10. სასტუმრო მომსახურება;
11. სამკერვალო წარმოება;
12. სხვადასხვა მოკლევანდიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები.

გარდა ფორმალური განათლებისა, ჩვენი კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. გასულ წელს კოლეჯი ახალგაზრდული მუშაკის სახელმწიფო სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო – სამი ახალგაზრდული მუშაკი პრაქტიკულ კომპონენტს კოლეჯის ბაზაზე ახორციელებდა. ამ პროექტის ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვანი კლუბები ჩამოყალიბდა, რომლებიც კიდევ მეტ შესაძლებლობას აძლევს ჩვენს სტუდენტებს, გახდნენ წარმატებულები და მიღებული კომპეტენციებით შექმნან ღირებული პროექტები რეგიონის განვითარებისათვის. სვან ახალგაზრდებში ყოველდღე იმატებს ინტერესი და ისინი აცნობიერებენ პროფესიული განათლების მნიშვნელობას. კოლეჯის კარი ღიაა ყველა ახალგაზრდისთვის. ის მათი ინტერესებისა თუ საჭიროებების გამოვლენის ჰაბია. გვაქვს არაერთი წარმატება კონკურსებში როგორც

ადგილობრივ, ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით. 2019 წელს ჩვენი ერთ-ერთი სტუდენტი საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების ოლიმპიადის გამარჯვებული და საუკეთესო კიბერგმირი გახდა.

ჩვენთან სტუდენტური ცხოვრება იმაზე კარგი და შთამბეჭდავია, ვიდრე წარმოგიდგენიათ. აქ ახალგაზრდებს ყველა პირობა აქვთ, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტი. კოლეჯში ხშირად ეწყობა სასწავლო ექსკურსიები და ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობისათვის.

მთაში ახალგაზრდების ცხოვრება მეტად განსხვავებული და საინტერესოა, რადგანაც მათ აქვთ შესაძლებლობა, დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას და ადგილზე დასაქმდნენ. მაღალმთიან რეგიონებში ხომ კადრების დეფიციტია. ასევე აღსანიშნავია, რომ დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიან დასახლებათა უმრავლესობა განსაკუთრებით მიმზიდველია გარე და შიდა ტურიზმისთვის. ზემო სვანეთი გამოირჩევა როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის კურორტებით, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით. ახალგაზრდებს აქვთ დიდი შესაძლებლობა, პროფესიული განათლების მიღების შემდეგ გახდნენ მეწარმეები და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას. გვაქვს პრეცედენტები ინფორმაციის ტექნოლოგიის, ელექტროობის, სასტუმროს მომსახურებისა თუ კულინარიის მიმართულებით. სამკერვალო დარგში კურსდამ-

თავრებულებმა თვითდასაქმების მიზნით შექმნეს სხვადასხვა მომსახურება, რაც საჭიროა კერძო ბიზნესის მხარდაჭერისთვის. როგორც მოგეხსენებათ, სვანეთში უამრავი სასტუმრო და რესტორანია, რომლებსაც სჭირდება სპეციალისტების მხარდაჭერა და მომსახურება. ეს კიდევ უფრო განსაკუთრებულსა და საინტერესოს ხდის პროფესიულ პროგრამებს ახალგაზრდებისათვის და მამოტივირებელია მათთვისაც, ვისაც დღემდე არ გადაუწყვეტია პროფესიული განათლების მიღება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაღალმთიან რეგიონებში და კონკრეტულად ჩვენთან იმატა სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული, პროფესიული განათლებით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობამ. ასევე იმატა სპეციალისტების დაინტერესებამ – ამოვიდნენ მთაში და თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ სვანეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს. ჩემთან ერთად კოლეჯში მუშაობენ ბარიდან ამოსული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. წლებია, წარმატებით ვახორციელებთ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას და იმდენად შეგვიყვარდა სვანეთი, რომ პირადად მე მე-4 წელია, აქ ვარ – ბედნიერი იმით, რომ ჩემი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მაქვს ზემო სვანეთში. ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ალბათ ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მაღალმთიან რეგიონებში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, რამდენ შესაძლებლობებს უქმნის ახალგაზრდებს.

მთაში გამოწვევებიც ბევრია. მესტიის მუნიციპალიტეტი ერთადერთია, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არსებობს. მოგეხსენე-

ბათ, შორი სოფლებიდან მომავალ სტუდენტებს რამდენი დაბრკოლების გადალახვა უწევთ: ან ტრანსპორტი უნდა დაიქირავონ, ან საკუთარი ავტომობილებით მოვიდნენ, რაც დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული. ხშირ შემთხვევაში უწევთ გზაში დგომა მოწყალე მძღოლების იმედად. გამოწვევაა ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის, კომპიუტერული ტექნიკის არარსებობა, რაც ნათლად დაგვანახა პანდემიამ. ონალინრეჟიმზე გადასვლის დროს სტუდენტების დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა ფორმალურ თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას. ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ ასეთი სტუდენტების მხარდასაჭერად, თუმცა ყველას მხარდაჭერა ვერ შევძლით. ყველაზე დიდი გამოწვევა არის სტუდენტური საცხოვრებელის არარსებობა. კოლეჯის ტერიტორიაზე დაწყებულია უმაღლესი სტანდარტის სტუდენტური კამპუსის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა მთელი ხეობის ახალგაზრდობისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, მაგრამ პროექტი გარკვეული მიზეზების გამო შეჩერებულია.

და ბოლოს, კოლეჯ „თეთნულდს“ გააჩნია განვითარების სწორი ხედვა. ის ქმნის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობას და აქვს ამბიცია, იყოს მიმზიდველი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მაღალმთიან რეგიონში.

ექ ფეისბუქზე იყოს
თქვენი
რეკლამა

პროფესიული განათლების მიზნები:

- ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
- ინდივიდის დასაქმების, მათ შორის საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.